დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება)

სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოს საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლიკა ხვედელიძე ზოგადი განათლების უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

დავით ლიპარტელიანი - ზოგადი განათლების უზრუნველყოფის ექსპერტი
ნატა ბიჭიკაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მაია მაძღარაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მაია აბდელიანი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
თეონა ჯაფარიძე - ექსთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
მაია სიხარულიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ნინო წიკლაური - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ირინე შარაბიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ალექსანდრე ლაცაბიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
შორენა კაკაბაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოს საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	240412852

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	სიღნაღის მუნიციპალიტეტი სოფელი საქობო
ფაქტობრივი მისამართი	სიღნაღის მუნიციპალიტეტი სოფელი საქობო უნივერსიტეტის ქ#70
საფოსტო ინდექსი	4200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Sakobo@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	--

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	**2025 წლის 02 ივლისის N** MES 0 25 0000797456
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	24-25 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	სიღნაღის მუნიციპალიტეტი სოფელი საქობო უნივერსიტეტის ქ#70 ორი შენობა
2	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	სიღნაღის მუნიციპალიტეტი სოფელი საქობო უნივერსიტეტის ქ#70 ორი შენობა
3	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანამანთლებლო	საშუალო	ქართული ენა	სიღნაღის მუნიციპალიტეტი სოფელი

	პროგარამა			საქობოუნივერსიტეტის ქ#70 ორი შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2025 წლის 24-25 ივლისს სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოს საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ სიღნაღის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტთან.

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განვახორციელეთ ადგილზე ვიზიტით, ჯგუფის სხვა წევრებმა შეფასების პროცესი განახორციელეს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, კერძოდ, teams-ის გამოყენებით. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია (ქიმია-ბიოლოგია და ფიზიკა).

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი დისტანციურად შეხვდა დაწყებითი საფეხურის ქართული ენის, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი საგნების მასწავლებლებს და მიგნებები შეაჯერა სახელმწიფო ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტებთან.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1	☒ შეესაბამება

სკოლის ფილოსოფია	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 450	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამ დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა	სკოლამ უზრუნველყოს შენობის მდგრადობის დოკუმენტისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ წერილობითი მიმართვის მომზადება შესაბამისი უწყებისათვის შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში 2025 წლის 1 მაისამდე, ხოლო ეზოს შემოღობვა 2027 წლ 11 აგვისტომდე

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი 3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას საბუნებუსმეტყველო ლაბორატორიაში არ აქვს სპეციალური მაგიდა, სკოლას ახლადრეაბილიტირებულ შენობაზე გასაკეთებელი აქვს ახალი აზომვითი ნახაზი და გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში 2026 წლის 1 მაისამდე უზრუნველყოფა
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამ დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული**	*რჩევა*

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N.3.4.1.5	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას	სკოლას მიეცა რჩევა: რეგულარულად უზრუნველყოს სკოლის ეზოს ტერიტორიის გაკაფვა
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N 4.1.2.3	სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი	სკოლას მიეცა რჩევა: დაიცვას მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული ვადები პირველკლასში მოსწავლეთა რეგისტრაციისა და საბუთების წარდგენის ვადები და 04/ნ ბრძანები მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განიხილოს მშობლის განცხადება და წარდგენილი დოკუმენტაცია და დოკუმენტის სრულად წარდგენის შემთხვევაში 2 სამუშაო დღის ვადაში გამოსცეს მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გამოცეს ბრძანება, და მე-3 პუნქტის შესაბამისად ინფორმაცია ასახოს მართვის საინფორმაციო სისტემაში.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *დაწყებითი საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორი	შემუშავებული კურიკულუმი	უცხოური ენები

*N*2.1.2.1	**წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	სასურველია, ორივე უცხოურ ენაში შემუშავებული კურიკულუმები ერთი ფორმატით იყოს წამოდგენილი **ქართული ენა და ლიტერატურა** საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. სასურველია, ამოქმედდეს საკლუბო წრეები (მაგ: მკითხველთა კლუბი, დებატ. კლუბი).
ინდიკატორი *N*2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**ქართული ენა და ლიტერატურა** • სასწავლო თემების, კონტექსტმაგალითებისა და საკითხების მიზნობრივი შესაბამისობის გათვალისწინებით, კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების დაგეგმვისას, მეტი ყურადღება დაეთმოს საგანთა შორის ინტეგრირების პროცესს. • შერჩეული შემაჯამებელი დავალებების ტიპები, მეტად იყოს ორიენტირებული მოსწავლის ანალიტიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე.
ინდიკატორი *N*2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	**უცხოური ენები** სასურველია, მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების მიზნით მოხდეს დამატებითი დამხმარე რესურსების აქტიურად გამოყენებაც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებასა და გამტკიცებას.

ინდიკატორი N2.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**უცხოური ენები** • სასურველია, რომ კომპლექსურ დავალებებში დაგეგმონ უფრო მეტად მრავალფეროვანი დიფერენცირებული აქტივობების გამოყენება. მაგ., აირჩიე პროექტი, სასწავლო მენიუ და ა.შ. რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მათთვის ეფექტური საშუალებით. • დიფერენცირებული მიდგომის დროს სასურველია, კონკრეტული აქტივობების დავალებებში, გაითვალისწინონ ყველა ტიპის მსწავლელისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა ინტერესები. **ქართული ენა და ლიტერატურა** • პროექტული სწავლებისას მასწავლებლებმა გაითვალისწინონ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო გონივრული ვადები და სტანდარტთან შესაბამისობა. • მიზნობრივია სხვადასხვა შესაძლებლობისა და ინტერესის მქონე მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, შემდეგი სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას, დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებული პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ემპირიული მასალის საფუძველზე კათედრის წევრთა კოორდინირება.
ინდიკატორი N2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს,**	**უცხოური ენები** განმსაზღვრელი შეფასებისთვის, სასურველია შეიქმნას თემის ფარგლებში გასავლელი დავალებების, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და ინდიკატორებზე ორიენტირებული კონკრეტული კრიტერიუმები.

	მიზნებსა და ამოცანებს	**მე და საზოგადოება, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება** დაწყებით კლასებში, რიგ საგნებში: (მე და საზოგადოება, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება) შეფასების რუბრიკებში უნდა ჩანდეს, თუ რომელ კონკრეტულ სამიზნე ცნების მიხედვით აფასებთ მოსწავლეს. აღწერდეს ამ ცნებასთან მიმართებით მოსწავლის მიღწევას და აძლევდეს რჩევას შემდგომი განვითარებისათვის. **ქართული ენა და ლიტერატურა** • მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად: • პარალელურად, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიზნით, კათედრის წევრებმა უზრუნველყონ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტთა გამრავალფეროვნება და ემპირიული მასალის საფუძველზე პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება.
ინდიკატორი N2.2.1.1	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია შემაჯამებელი დავალებების შექმნის დროს გათვალისწინებული იქნას ტესტის კოგნიტურობა დონეების მიხედით. შემაჯამებელი ტესტირების დროს ცოდნაზე ორიეტირეულ ტესტებთან ერთად მეტი ადგილი დაუთმეთ ისეთ ტესტებს, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან გამოყენებასა და მსჯელობაზე.

		ქართული ენა და ლიტერატურა საგნობრივ კათედრებზე სამუშაო პროცესის პარალელურად, სასურველია კათედრათაშორისი კოორდინირებული თანამშრომლობის გააქტიურება გამოცდილების გაზიარებისა თუ სასწავლო პროექტების/ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვის მიზნით.
ინდიკატორი N2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**სახელმწიფო ენა** • შემაჯამებელ დავალებათა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავებისას, კრიტერიუმები მიზნობრივად იყოს გაწერილი (კონკრეტული შემაჯამებელი დავალების) სტანდარტის შედეგებთან შესაბამისობაში. • შერჩეული შემაჯამებელი დავალებები მეტად იყოს ორიენტირებული მოსწავლის ანალიტიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. შერჩეული ინსტრუმენტით შესაძლებელი იყოს სასწავლო თემის//თემების ფარგლებში სტანდარტის შედეგების დადასტურება.
ინდიკატორი N2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**უცხოური ენები** სასურველი, სამივე საფეხურზე ორივე უცხოურ ენაში, რესურსების მრავალფეროვნებას მიექცეს ყურადღება.

ინდიკატორი N2.2.2.2	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრული უნდა იყოს საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად და დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმით.. **უცხოური ენები** სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს დამხმარე რესურსის ვალიდაციის ფორმა, რომელიც განსაზღვრავს დამხმარე სასწავლო რესურსის საგნობრივ და ეთიკურ მიზანშეწონილობასა და ასაკისათვის შესაბამისობას. **სახელმწიფო ენა** სასწავლო წლის დაწყებამდე, კათედრის წევრებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში დღის წესრიგში - გათვალისწინებულ /განიხილულ იქნეს იმ დამატებით რესურსთა სწავლების ეფექტიანობა-შესაბამისობის შეფასება, (ე.ს.გ -ს გათვალისწინებით) რომელთა გაწერაც იგეგმება საგნობრივ კურიკულუმში. (აღნიშნული მტკიცებულების სახით, აისახოს კათედრის ოქმში.)

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *საბაზო საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია, განსაკუთრებით-ბიოლოგიასა და ქიმიაში, მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ პრაქტიკულ სამუშაობზე- საბაზო და

	და განვითარების გზას	საშუალო საფეხურზე. **უცხოური ენები** სასურველია, ორივე უცხოურ ენაში შემუშავებული კურიკულუმები ერთი ფორმატით იყოს წამოდგენილი **ქართული ენა და ლიტერატურა** კურიკულუმის შემუშავებისას, მასწავლებლებმა გაითვალისწინონ საბაზო საფეხურის საგნობრივი სპეციფიკა (პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული თემები) და სასწავლო პროცესი გაამრავალფეროვნონ შესაბამისი კონტექსტ მაგალითებით . საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. სასურველია, ამოქმედდეს საკლუბო წრეები (მაგ: მკითხველთა კლუბი, დებატ. კლუბი).
*ინდიკატორი N*2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**ქართული ენა და ლიტერატურა** • სასწავლო თემების, კონტექსტმაგალითებისა და საკითხების მიზნობრივი შესაბამისობის გათვალისწინებით, კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების დაგეგმვისას, მეტი ყურადღება დაეთმოს საგანთა შორის ინტეგრირების პროცესს. • შერჩეული შემაჯამებელი დავალებების ტიპები, მეტად იყოს ორიენტირებული მოსწავლის ანალიტიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე.

*ინდიკატორი N*2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	**უცხოური ენები** სასურველია, მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების მიზნით მოხდეს დამატებითი დამხმარე რესურსების აქტიურად გამოყენებაც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებასა და გამტკიცებას.
*ინდიკატორი N*2.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**უცხოური ენები** • სასურველია, რომ კომპლექსურ დავალებებში დაგეგმონ უფრო მეტად მრავალფეროვანი დიფერენცირებული აქტივობების გამოყენება. მაგ., აირჩიე პროექტი, სასწავლო მენიუ და ა.შ. რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მათთვის ეფექტური საშუალებით. • დიფერენცირებული მიდგომის დროს სასურველია, კონკრეტული აქტივობების დავალებებში, გავითვალისწინონ ყველა ტიპის მსწავლელისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა ინტერესები. **ქართული ენა და ლიტერატურა** • პროექტული სწავლებისას მასწავლებლებმა გაითვალისწინონ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო გონივრული ვადები და სტანდარტთან შესაბამისობა. • მიზნობრივია სხვადასხვა შესაძლებლობისა და ინტერესის მქონე მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, შემდეგი სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას,

		დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებული პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ემპირიული მასალის საფუძველზე კათედრის წევრთა კოორდინირება.
ინდიკატორი N2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** ბიოლოგია - მე-8 კლასი- თემაში -ნივთიერებათა მიმოცვლა და ტრანსპორტი ასევე იყოს სამიზნე ცნება-„ბიომრავალფეროვნება“. მე-7-8 კლასის კურიკულუმებში საკითხები და ქვეცნენები დასაზუსტებელია. მაგ. მოცემული ქვეცნებები- “ბრონქიტი, ასთმა, პნევმონია, ლარინგიტი, ფილტვის კიბო, დიფტერია“- ქვეცნებებს არ მიეკუთვნება. **უცხოური ენები** განმსაზღვრელი შეფასებისთვის, სასურველია შეიქმნას თემის ფარგლებში გასავლელი დავალებების, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და ინდიკატორებზე ორიენტირებული კონკრეტული კრიტერიუმები. **ქართული ენა და ლიტერატურა** • მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად: • პარალელურად, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიზნით, კათედრის წევრებმა უზრუნველყონ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტთა გამრავალფეროვნება და ემპირიული მასალის საფუძველზე პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება.

ინდიკატორი N2.2.1.1	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია შემაჯამებელი დავალებების შექმნის დროს გათვალისწინებული იქნას ტესტის კოგნიტურობა დონეების მიხედით. შემაჯამებელი ტესტირების დროს ცოდნაზე ორიეტირეულ ტესტებთან ერთად მეტი ადგილი დაუთმეთ ისეთ ტესტებს, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან გამოყენებასა და მსჯელობაზე. **ქართული ენა და ლიტერატურა** საგნობრივ კათედრებზე სამუშაო პროცესის პარალელურად, სასურველია კათედრათაშორისი კოორდინირებული თანამშრომლობის გააქტიურება გამოცდილების გაზიარებისა თუ სასწავლო პროექტების/ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვის მიზნით.
ინდიკატორი N2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**სახელმწიფო ენა** • შემაჯამებელ დავალებათა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავებისას, კრიტერიუმები მიზნობრივად იყოს გაწერილი (კონკრეტული შემაჯამებელი დავალების) სტანდარტის შედეგებთან შესაბამისობაში. • შერჩეული შემაჯამებელი დავალებები მეტად იყოს ორიენტირებული მოსწავლის ანალიტიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. შერჩეული ინსტრუმენტით შესაძლებელი იყოს სასწავლო თემის//თემების ფარგლებში სტანდარტის შედეგების დადასტურება.

ინდიკატორი N2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**უცხოური ენები** სასურველი, სამივე საფეხურზე ორივე უცხოურ ენაში, რესურსების მრავალფეროვნებას მიექცეს ყურადღება.
ინდიკატორი N2.2.2.2	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**უცხოური ენები** სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს დამხმარე რესურსის ვალიდაციის ფორმა, რომელიც განსაზღვრავს დამხმარე სასწავლო რესურსის საგნობრივ და ეთიკურ მიზანშეწონილობასა და ასაკისათვის შესაბამისობას. **სახელმწიფო ენა** სასწავლო წლის დაწყებამდე, კათედრის წევრებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში დღის წესრიგში - გათვალისწინებულ /განიხილულ იქნეს იმ დამატებით რესურსთა სწავლების ეფექტიანობა-შესაბამისობის შეფასება, (ე.ს.გ -ს გათვალისწინებით) რომელთა გაწერაც იგეგმება საგნობრივ კურიკულუმში. (აღნიშნული მტკიცებულების სახით, აისახოს კათედრის ოქმში.)

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *საშუალო საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორი	**შემუშავებული კურიკულუმი**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

*N*2.1.2.1	**წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	სასურველია, განსაკუთრებით-ბიოლოგიასა და ქიმიაში, მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ პრაქტიკულ სამუშაობზე- საბაზო და საშუალო საფეხურზე. **უცხოური ენები** სასურველია, ორივე უცხოურ ენაში შემუშავებული კურიკულუმები ერთი ფორმატით იყოს წარმოდგენილი. **ქართული ენა და ლიტერატურა** საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. სასურველია, ამოქმედდეს საკლუბო წრეები (მაგ: მკითხველთა კლუბი, დებატ. კლუბი).
ინდიკატორი *N*2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**ქართული ენა და ლიტერატურა** • სასწავლო თემების, კონტექსტმაგალითებისა და საკითხების მიზნობრივი შესაბამისობის გათვალისწინებით, კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების დაგეგმვისას, მეტი ყურადღება დაეთმოს საგანთა შორის ინტეგრირების პროცესს. • შერჩეული შემაჯამებელი დავალებების ტიპები, მეტად იყოს ორიენტირებული მოსწავლის ანალიტიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. • საშუალო საფეხურზე მე-11 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებული თითოეული კომპონენტი შეივსოს სწორად და მიზნობრივად. (მაგ: სამიზნე ცნებები) ტექნიკურად

		მოწესრიგდეს მე-12 კლასის კურიკულუმი (ინფორმაცია იყოს აღქმადი).
*ინდიკატორი N*2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	**უცხოური ენები** სასურველია, მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების მიზნით მოხდეს დამატებითი დამხმარე რესურსების აქტიურად გამოყენებაც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებასა და გამტკიცებას. **ქართული ენა და ლიტერატურა** მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, მოსწავლეთა ინტერესის ამაღლების მიზნით, მეტი აქცენტი გაკეთდეს ელ. რესურსების გამოყენებაზე.
*ინდიკატორი N*2.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**უცხოური ენები** • სასურველია, რომ კომპლექსურ დავალებებში დაგეგმონ უფრო მეტად მრავალფეროვანი დიფერენცირებული აქტივობების გამოყენება. მაგ., აირჩიე პროექტი, სასწავლო მენიუ და ა.შ. რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მათთვის ეფექტური საშუალებით. • დიფერენცირებული მიდგომის დროს სასურველია, კონკრეტული აქტივობების დავალებებში, გავითვალისწინონ ყველა ტიპის მსწავლელისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა ინტერესები.

		ქართული ენა და ლიტერატურა • პროექტული სწავლებისას მასწავლებლებმა გაითვალისწინონ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო გონივრული ვადები და სტანდარტთან შესაბამისობა. • მიზნობრივია სხვადასხვა შესაძლებლობისა და ინტერესის მქონე მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, შემდეგი სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას, დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებული პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ემპირიული მასალის საფუძველზე კათედრის წევრთა კოორდინირება.
ინდიკატორი N2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**უცხოური ენები** განმსაზღვრელი შეფასებისთვის, სასურველია შეიქმნას თემის ფარგლებში გასავლელი დავალებების, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და ინდიკატორებზე ორიენტირებული კონკრეტული კრიტერიუმები. **ქართული ენა და ლიტერატურა** • მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად; • პარალელურად, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიზნით, კათედრის წევრებმა უზრუნველყონ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტთა გამრავალფეროვნება და ემპირიული მასალის საფუძველზე პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება.

ინდიკატორი N2.2.1.1	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია შემაჯამებელი დავალებების შექმნის დროს გათვალისწინებული იქნას ტესტის კოგნიტურობა დონეების მიხედით. შემაჯამებელი ტესტირების დროს ცოდნაზე ორიეტირეულ ტესტებთან ერთად მეტი ადგილი დაუთმეთ ისეთ ტესტებს, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან გამოყენებასა და მსჯელობაზე. **ქართული ენა და ლიტერატურა** საგნობრივ კათედრებზე სამუშაო პროცესის პარალელურად, სასურველია კათედრათაშორისი კოორდინირებული თანამშრომლობის გააქტიურება გამოცდილების გაზიარებისა თუ სასწავლო პროექტების/ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვის მიზნით.
ინდიკატორი N2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**სახელმწიფო ენა** • შემაჯამებელ დავალებათა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავებისას, კრიტერიუმები მიზნობრივად იყოს გაწერილი (კონკრეტული შემაჯამებელი დავალების) სტანდარტის შედეგებთან შესაბამისობაში. • შერჩეული შემაჯამებელი დავალებები მეტად იყოს ორიენტირებული მოსწავლის ანალიტიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. შერჩეული ინსტრუმენტით შესაძლებელი იყოს სასწავლო თემის//თემების ფარგლებში სტანდარტის შედეგების

		დადასტურება.
ინდიკატორი N2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**უცხოური ენები** სასურველი, სამივე საფეხურზე ორივე უცხოურ ენაში, რესურსების მრავალფეროვნებას მიექცეს ყურადღება.
ინდიკატორი N2.2.2.2	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**უცხოური ენები** სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს დამხმარე რესურსის ვალიდაციის ფორმა, რომელიც განსაზღვრავს დამხმარე სასწავლო რესურსის საგნობრივ და ეთიკურ მიზანშეწონილობასა და ასაკისათვის შესაბამისობას. **სახელმწიფო ენა** სასწავლო წლის დაწყებამდე, კათედრის წევრებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში დღის წესრიგში - გათვალისწინებულ /განიხილულ იქნეს იმ დამატებით რესურსთა სწავლების ეფექტიანობა-შესაბამისობის შეფასება, (ე.ს.გ -ს გათვალისწინებით) რომელთა გაწერაც იგეგმება საგნობრივ კურიკულუმში. (აღნიშნული მტკიცებულების სახით, აისახოს კათედრის ოქმში.)

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული დოკუმენტაცია, რის შემდეგაც ინდიკატორები 1.2.1.1, 1.2.1.4 , 3.1.1.1, 3.1.2.1, 3.1.2.3, გადავიდა სრულ შესაბამისობაში, ხოლო ინდიკატორი 3.4.1.1 გადავიდა ნაწილობრივ შესაბამისობაში. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა არგუმენტირებული პოზიცია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია
1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოს საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა. გათვალისწინებულია სკოლის ძლიერი მხარეების გამოყენების შესაძლებლობა. შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან. ხელს უწყობს მოსწავლეების მომავალ წარმატებას, მათ ინტეგრაციას.

სკოლის მისიაა: უსაფრთხო, პოზიტიური, სწავლის მასტიმულირებელი გარემოს შექმნა, სადაც ყველა ბავშვი მოაზროვნე, მაძიებელი, თავდაჯერებული, მიღებული და დაფასებულია.მოსწავლეთა პოტენციალის გამოვლენა და დამოუკიდებელი, კრიტიკული, ლოგიკური აზროვნების განვითარება. თითოეული მოსწავლისათვის თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი განათლების მიცემა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბება, რათა ხელი შეუწყოს მომავალი საგანმანათლებლო და შრომითი საქმიანობის არჩევანის გაკეთებაში. ამასთანავე, ჩამოუყალიბოს დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება.

სკოლის ხედვაა: ,,სოფელ საქობოს საჯარო სკოლა ორიენტირებული იქნება იმაზე, რომ სასკოლო საზოგადოების კონსტრუქციული თანამშრომლობითა და პასუხისმგებლობის განაწილების გზით ხელი შეუწყოს თითოეული მოზარდის წარმატებას. აღჭურვოს მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებითა და სოციალურად სწორი ორიენტაციით. მოსწავლეებს შესთავაზოს, მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და არაფორმალური განათლების აქტივობები რაც საშუალებას მისცემს მათ განავითარონ პიროვნული მისწრაფებები. შექმნას უსაფრთხო, მეგობრული და ინკლუზიური გარემო, რაც ხელს შეუწყობს თანამშრომლობის, ლიდერობის, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის და საზოგადოებრივი აქტივობების წახალისებას. სკოლა შეძლებს აღჭურვოს მოზარდი 21 საუკუნეში საჭირო უნარებით და კომპეტენციებით. “

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოს საჯარო სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები კი ასახავს იმ ნაბიჯებს, რომელსაც სასკოლო საზოგადოება გადადგამს სკოლის განვითარებისა და მოსწავლეებისათვის კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებისათვის. სკოლაში განხორციელებული პროექტები და სხვა არაფორმალური განათლების აქტივობები მიზნად ისახავს მოსწავლეებისა და თანამშრომლების სასკოლო ცხოვრებაში მაქსიმალურად ჩართვას; დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები და დასაქმებული პირები უზრუნველყოფენ უსაფრთხო გარემოს შექმნას და წესრიგის დაცვას კანონმდებლობისა და სკოლის მიერ განსაზღვრული შიდა მექანიზმების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის დირექტორის #2-19 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განახორციელა სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა და ღირებულებები), სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებები. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან როგორც მასწავლებლები, მშობელი, ისე მოსწავლე. სკოლას 2024- 2025 სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავებული ქონდა სკოლის ფილოსოფია. დირექტორის ბრძანებით შეიქმნა ჯგუფი, რომელსაც დაევალა მისია ხედვა ღირებულებების გადახედვა. ჯგუფის წევრებმა ჩაატარეს ზეპირი გამოკითხვები მშობლებთან მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის. გამოკითხვის შედეგად დაადგინეს, რომ მისია ხედვა ღირებულებების შეესაბამებოდა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და არ საჭიროებდა სხვა სახით ფორმულირებას და დატოვეს უცვლელად. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის #1 ოქმი. სკოლის ფილოსოფია შეადგენს სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის ნაწილს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაწერილია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების ეტაპები. ვიზიტის დროს, ინტერვიუირებისა და მსჯელობის პროცესში, არა ერთხელ გამოიკვეთა სკოლის დირექტორის, თანამშრომლებისა და პედაგოგების მიერ, სკოლის მისიისა და ღირებულებების გაცნობიერების მაღალი დონე. აღსანიშნავია, რომ როგორც გასაუბრებიდან გამოკვეთა, სკოლის მართვისათვის ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი თუ დებულება შემუშავებულია გუნდის ჩართულობით და უმრავლესობის უკუკავშირის გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი სკოლის ცენტრალურ შესასვლელში. ისინი ასევე განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. კერძოდ, სკოლის დასახელება და სტატუსი განსაზღვრულია კანონმდებლობით - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით, რომლის თანახმადაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს: საჯარო სამართლის

იურიდიული პირი (სსიპ), სახელწოდება: სიღნაღის მუნიციპალიტეტი სოფელ საქობოს საჯარო სკოლა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- დირექტორის #2-19 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნაზე
- სამუშაო ჯგუფის #1 ოქმი
- სასკოლო საზოგადოების კვლევის კითხვარები;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის ვებ გვერდი
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

სკოლის დირექტორის 2025 წლის 21 მაისის #2-37 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სკოლის მისიის ხედვის ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოლოგია", რომელიც ითვალისწინებს როგორც სასკოლო საზოგადოების ასევე თემის ჩართულობას. მასში აღწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება სკოლის ფილოსოფიის, გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმები, სტრატეგიული დაგეგმვისას სკოლა იცავს თანამონაწილეობის, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებების პრინციპებს. სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პოცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. დირექტორის მიერ შექმნილი ჯგუფი სამოქმედო გეგმის პირველ ეტაპზე შეიმუშავებს გეგმის პროექტს. შემდეგ განიხილავს სასკოლო საზოგადოებასთან/თემთან. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხდება საბოლოო პროექტის შემუშავება და დირექციისთვის წარდგენა.

მეთოდოლოგიაში სკოლამ უნდა გათვალისწინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს #785 ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნები და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები დამტკიცებულ იქნეს სამეურვეო საბჭოს მიერ. ასევე დირექტორის #2-19 ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა მოვიდეს მეთოლოგიით განსაზღვრულ შემადგენლობასთან შესაბამისობაში. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა დირექტორის #2-126 ბრძანება და და 2-127 ბრძანება, რომლის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ხარვეზები აღმოფხვრილია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლა თვითშეფასების განაცხადში აღნიშნავდა რომ შვიდ წლიანი სტრატეგიული გეგმა დამტკიცებული ექნება ახალი სასწავლო წლისთვის. ასევე წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმაც ამჯერად შემუშავებული აქვს სტრატეგიული გეგმის პროექტი. სკოლამ დოკუმენტაციაში წარმოადგინა სკოლის დირექტორის #2-38 ბრძანებით დამტიკიცებული 2025-2032 წლების სტრატეგიული გეგმა რომელიც თავსებადია სკოლის მისია, ხედვა ღირებულებებთან. სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილია 7 მიზანი: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება. ვიზიტის შემდგომ სკოლამ

წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 17 ივნისის #09 ოქმი, რომლითას დამტკიცებულია 2025-2032 წლების შვიდ წლიანი სტრატეგიული გეგმა და 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას. მაგრამ სამეურვეო საბჭოს ოქმზე დატანილი არ არის უფლებამოსილი პირების ხელმოწერა, შესაბამისად სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 2025 წლის 15 სექტემბრამდე უზრუნველყოს დოკუმენტის სრულყოფა. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 17 ივნისის ოქმი ხელმოწერილი სახით, რომლის შესწავლის შედეგად დადგინდა რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დამაყოფილებულია.**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლას წარმოდგენილი აქვს 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 02 სექტემბრის #1 ოქმითა და სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 აგვისტოს #76ᵃ ბრძანებით არის დამტკიცებული. ასევე ვიზიტის შემდგომ დოკუმენტაციაში წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება 2025-2032 წლების შვიდ წლიან სტრატეგიულ გეგმასა და 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშს. სკოლამ სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 17 ივნისის 09 ოქმის დამოწმება უზრუნველყოს უფლებამოსილი პირების მიერ შესაბამისობის გეგმით განსაზვრულ ვადებში 2025 წლის 15 სექტემბრამდე. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 17 ივნისის ოქმი ხელმოწერილი სახით, რომლის შესწავლის შედეგად დადგინდა რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დამაყოფილებულია.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 17 ივნისის ოქმი ხელმოწერილი სახით, რომლის შესწავლის შედეგად დადგინდა რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დამაყოფილებეულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- 2025-2032 წლების სტრატეგიული გეგმა;
- 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 02 სექტემბის #01 ოქმი
- სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 17 ივნისის #09 ოქმი
- ბრძანება #2-126
- ბრძანება #2-127

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოლოგია მე-12 თავი მოიცავს მონიტორინგსა და შეფასებას. სკოლას შემუშავებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების 2 გზა. რომელთაგან სკოლა გამოიყენებს ერთ-ერთს. ვინაიდან სკოლას მეთოდოლოგია ახალი დამტკიცებული აქვს მონიტორინგს სკოლა მომავალი წლიდან გააკეთებს წესის შესამაბმისად სამოქმედო გეგმის მონიტორინგი გათვალისწინებულია წელიწადში ორჯერ, ხოლო სტრატეგიული გეგმის ყოველ 3 წელიწადში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა სამომავლოდ გეგმავს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

დაწესებულება გადის პირველად ავტორიზაციას.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

დაწესებულება გადის პირველად ავტორიზაციას.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

დაწესებულება გადის პირველად ავტორიზაციას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრტეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.
- სამეურვეო საბჭოს ოქმი #9

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

სკოლის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია სკოლაში დასაქმებული ყველა დასაქმებულის შეთანხმებული, გუნდური მუშაობა. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურული ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, დირექცია, ადმინისტრაცია, მრჩეველთა საბჭო. სკოლას აქვს დირექტორის 2025 წლის 21 მაისის #2-41 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის პერსონალის ფუნქციები, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. პირების ფუნქცია-მოვალეობები რეგულირებულია პერსონალთან გაფორმებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებებით. სკოლის თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურადაა განსაზღვრული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობები. შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სხვა თანამშრომლებთან საქართველოს შრომითი კოდექსის მოთხოვნათა სრული დაცვით. სკოლას აქვს კათედრის დებულება. სკოლას განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებით შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საშტატო განრიგი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია თანამდებობები/პოზიციები და რაოდენობა. სკოლა ვაკანტურ ადგილზე განცხადების გამოქვეყნებისას, როგორც შიდა ისე ღია კონკურსებზე, დეტალურად აღწერს შესასრულებელი სამუშაოს ფუნქციებს. ასევე სკოლაში დასაქმებულ პირზე დამატებითი ფუნქციის განსაზღვრისას, სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება დამატებითი ვალდებულების, კონკრეტული პასუხისმგებლობის დაკისრება. მაგალითად, სკოლაში შეიქმნა სკოლის ფილოსოფიაზე, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებზე მომუშავე ჯგუფი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით.

სკოლის დირექტორის 2025 წლის 21 მაისის #2-41 ბრძანებაში სრულად არ არის ასახული ყველა თანამდებობის პირის ფუნქცია-მოვალეობები. გასათვალისწინებელია მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალში კანონმედებლობის მოთხოვნები(კერძოდ ჩამონათვალის ზემოთ უნდა განთავსდეს ჩანაწერი ..მასწავლებლობის მსურველი აკმაყოფილებდეს ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას".)

სკოლამ 2025 წლის 21 მაისის #2-41 ბრძანების დანართში ასახოს საშტატო განრიგით გათვალისწინებული ყველა საშტატო ერთეულის ფუნქცია-მოვალეობა და მასწავლებლის კვალიფიკაციის ჩამონათვალში გაითვალისწინოს კანონმდებლობის მოთხოვნები.სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანება #2-121, რომლის შესწავლის შედეგად დადინდა რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში დასაქმებული პირები ითავსებენ როგორც ადმინისტრაციულ, ასევე საგაკვეთილო პროცესს. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის პერსონალის ფუნქციები, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები.

თითოეული სტრუქტურა არჩეულია /შექმნილია კანონმდებლობის შესაბამისად, მათი კოორდინირებული მუშაობა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას. სკოლის თითოეული სტრუქტურული ერთეული პასუხისმგებელია თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებზე. სტრუქტურული ერთეულების მართვის ეფექტიანობა დაფუძნებულია ანგარიშგების პრინციპზე. სტრუქტურულ ერთეულებს შექმნილი აქვს დროში გაწერილი სამოქმედო გეგმა. ყველა სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელობს დემოკრატიული მართვის პრინციპებით და გადაწყვეტილებებს იღებენ არგუმენტირებულად. კოორდინირებული მუშაობა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს უზურუნველყოფას. სკოლაში შემუშავებულია არაერთი მარეგულირებელი დოკუმენტი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საშტატო განრიგი;
- სკოლის სტრუქტურა(განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე);
- თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;.
- სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლის პერსონალის ფუნქციების განსაზღვრის შესახებ;
- კათედრის დებულება;
- ბრძანება #2-121

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში დასაქმებული პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით, სკოლის შინაგანაწესითა და თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად. სკოლას აქვს საკუთარი ორგანიზაციული მოწყობა. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. მათ შორის, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს სკოლის პერსონალის საქმიანობის შეფასების საკითხს, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირების მიზნით და შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებიბს საკითხს. სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკია ეფუძნება სკოლის ხედვასა და ღირებულებებს. ასევე სკოლის დირექტორის #2-40 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულია პერსონალის მუშაობის შეფასების წესი, დოკუმენტში საშტატო ნუსხით განსაზღვრული შტატების შესაბამისად განსაზღვრულია შესაფასებელ სამუშაოთა ჩამონათვალი.

სკოლის დირექტორმა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა დასამტკიცებლად წარუდგინოს სამეურვეო საბჭოს მინისტრის 2007 წლის #785 ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. ასევე პერსონალის შეფასების წესში შეიტანოს (ფსიქოლოგის, ენისა და მეტყველების თერაპევტის, ექთნის, ადმინისტრატორის შეფასების წესი)

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს 17 ივნისის ოქმი #09 ხელმოწერილი სახით, რომლითაც დამტკიცებულია ადამიანური რესურსცების მართვის პოლიტიკა ასევე წარმოადგინა დირექტორის ბრძანება #2-122, რომლის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლა ზრუნავს როგორც არსებული კადრების შენარჩუნებასა და განვითარებაზე, ისე, საჭიროებისამებრ, ახალი კვალიფიციური კადრების მოზიდვაზე. სკოლისთვის პრიორიტეტულია არსებული კადრების შენარჩუნება, ვინაიდან მაღალია მათი კვალიფიკაცია, გამოცდილება და ერთგულება სკოლის მიმართ. პედაგოგიური, ადმინისტრაციული თუ ტექნიკური პერსონალის დროებით ჩანაცვლების აუცილებლობის შემთხვევაში, სკოლა ახდენს მყისიერ რეაგირებას, რის გამოც სასკოლო პროცესის შეფერხება არ ხდება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

დაწესებულებაში პერსონალის და მასწავლებლების შერჩევა მიმდინარეობს კანონმდებლობის დაცვით, კონკურსის საფუძველზე. კონკურსის გამოცხადებამდე, შესაბამისი თანამდებობის სამუშაო აღწერილობის გათვალისწინებით, წინასწარ განისაზღვრება კანდიდატისთვის წაყენებული აუცილებელი მოთხოვნები, ასევე წარმოსადგენი დოკუმენტაცია/ინფორმაცია. სოფელ საქობოს საჯარო სკოლაში მასწავლებელთა დასაქმება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების შესაბამისად. დაწესებულებამ ვიზიტზე წარმოადგინა საკონკურსო პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები ვაკანსიის განაცხადები შესაბამის პორტალზე, კონკურსის ოქმები, დირექტორის ბრძანებები, მაგალითად, საქმისმწარმოებლის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის დასაქმებასთან დაკავშირებით. ბრძანებები კონკურსის გამოცხადებაზე, კომისიის შემადგენლობაზე , ასევე კომისიის ომქები საბუთების გადარჩევის და კანდიდატებთან გასაუბრების თაობაზე.

პერსონალის პირადი საქმეების უმრავლესობა მოწესრიგებულია. მაგრამ არასრულყოფილია დამლაგებლებისა და ცეცხლფარეშების პირადი საქმეებიპირადი საქმე უნდა შეიცავდეს სკოლის დირექტორის 2-41 ბრძანებით გათვალისწინეულ შესაბამის კვალიფიკაციის დოკუმენტს, ცნობას ნასამართლეობის შესახებ,ცნობა "საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ". ასევე ყველა თანამშრომლის პირად სამეში უნდა იდოს ცნობა "საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ". სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა დამლაგებლებისა და ცეცხლფარეშების დოკუმენტაცია სრულად, ასევე თანამშრომლების საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ" **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლისთვის მნიშვნელოვანია, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამებოდეს დაკავებულ პოზიციას. ამიტომ, ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისას ხაზგასმით მიეთითება შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. სკოლას ჰყავს კვალიფიური პერსონალი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლისათვის მნიშვნელოვანია ორგანიზაციული კულტურის დანერგვა. სასკოლო საზოგადოებაში წახალისებულია თანამშრომლობითი კულტურა და გუნდურობა. თანამშრომლებს აქვთ „ჩვენ“ განცდა სიახლეების დანერგვისა და გადაწყვეტილების მიღებისას. ზემოაღნიშნული მიიღწევა პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი კათედრების, სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითთმართველობის თათბირებსა და სხდომებზე. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ, სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტების (სასკოლო გეგმა, ბიუჯეტი), კომპეტენციების გათვალისწინებით, ერთობლივად შემუშავების პროცესი.

სკოლაში შექმნილია საგნობრივი კათედრები, სადაც მასწავლებლები იკრიბებიან და განიხილავენ სხვადასხვა პროფესიულ საკითხებს, კათედრის დებულებაში ერთ-ერთ პუნქტად გაწერილია სხვა კათედრებთან თანამშროლობის ვალდებულება. სკოლაში მუშაობს ხარისხისა და პროფესიული განვითარების გუნდი. სკოლის მართვაში ჩართული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, საბჭოები, თანამშრომლები, მასწავლებლები, მშობლები და სხვა. დელეგირებულია ცალკეული უფლება-მოვალეობები თანამშრომლებზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის თანამშრომელთა საქმიანობის პროცესში, დაკისრებული მოვალეობის სწრაფად, ეფექტიანად და მაღალპროფესიულ დონეზე შესრულების შემთხვევებში, სკოლის დირექცია მაქსიმალურად ცდილობს შეუმჩნეველი არ დატოვოს და კონკრეტული თანამშრომლები წაახალისოს სხვადასხვა ფორმით, (, საჯაროდ მადლობის გამოცხადება, სიგელის გადაცემა და ა.შ.). სასკოლო საზოგადოების საქმიანობაში მიღწევების, გამარჯვების, წარმატების აღიარება და წარმოჩენა ხდება სკოლის სოციალურ გვერდზე, სადაც მუდმივად ქვეყნდება თითოეული მასწავლებლის განხორციელებული აქტივობები, რომელსაც საზოგადოება ეცნობა და აფასებს.

სკოლის შინაგანაწესდა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში აღწერილია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი და დასაქმებულთა წახალისების ფორმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის fb და etaloni.ge
- შინაგანაწესი
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- თანამშრომელთა პირადი საქმეები
- წამყვანი მასწავლებლის ხელშეკრულება
- კათედრის დებულება
- პერსონალის ცნობები ,,საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ”
- დამლადებლისა და ცეცხლფარეშის დოკუმენტაცია

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის მიერ შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს სკოლის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზების საკითხს, რისთვისაც გათვალისწინებული აქვთ თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა, თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა.

სკოლაში მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით აქვთ გაკვეთილზე დაკვირვებისა და შეფასების პრაქტიკა მათი განვითარების მიზნით. სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმებს პედაგოგები განიხილავენ ასევე საგნობრივ კათედრებზე. წარმოდგენილი დოკუმენტებით იკვეთება, რომ კათედრებზე ხორციელდება ერთობლივი გაკვეთილების დაგეგმვა-განხორციელება, კათედრის წევრთა შორის იგეგმება ურთიერთდასწრება და ხდება უკუკავშირის მიცემა.

გარდა ამისა, სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული აქვს პერსონალის შესრულებული სამუშაოს შეფასების საკითხი. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, სკოლა პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას აწარმოებს სისტემატურად. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე კი გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარების საკითხს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთა ინფორმირებას არსებული პროფესიული განვითარების ტრენინგების, კარიერული წინსვლის აქტივობების შესახებ. მასწავლებლებს ინდივიდუალურად ეძლევათ უკუკავშირი და აქვთ შესაძლებლობა საკუთარი პრიორიტეტებისა და საჭიროების გათვალისწინებით დაგეგმონ პროფესიული ზრდა, რისთვისაც შეუძლიათ გამოიყენონ სკოლის ბაზაზე არსებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ

შემოთავაზებული ტრენინგები და სხვა შესაძლებლობები. სკოლის მასწავლებლებს აქვთ პრაქტიკა მათი სამუშაო პროცესების თვითშეფასების, აღნიშნულს ადასტურებს მათ მიერ განხორციელებული აქტივობების რეფლექსიები, სადაც თავადვე გამოკვეთენ საკუთარ სუსტ და ძლიერ მხარეებს, ისახავენ სუსტი მხარეების მოგვარების გზებს.

მასწავლებელთა საჭიროებების დადგენისა და გამოვლენილი პრობლემების რელევანტური ინტერვენციების დაგეგმვა/განხორციელების მიზნით სკოლაში ეფექტურად მუშაობს კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით ორგანიზებული შეხვედრები.

ინდკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

პერსონალის კარიერული ზრდისათვის სკოლა ქმნის შესაბამის პირობებს. სკოლა აღჭურვილია მაღალი ხარისხის კომპიუტერული ტექნიკით, ელექტრონული და მატერიალური რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლის პერსონალისათვის. იდენტიფიცირებული აქვთ საჭიროებები. სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებლისთვის პროფესიული საჭიროებების განვითარების გზების მოძიებას და შეთავაზებას როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე სკოლის გარე სერვისებით. უწყვეტად მიმდინარეობს საგაკვეთილო დაკვირვებების ციკლი, განმავითარებელი უკუკავშირის მიცემით. მასწავლებლები აკეთებენ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების საფუძველზე და მათი საჭიროებების შესაბამისად ახორციელებენ ინტერვენციებს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლა თანამშრომლების სასკოლო გარემოში ინტეგრირებას მაქსიმალურად უწყობს ხელს. სკოლაში ყველა თანამშრომელს თანაბარი შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სკოლის რესურსით, აქტიურად მიეწოდებათ ყველა საჭირო ინფორმაცია, როგორც პროფესიული განვითარების შესაძლებლობის, ისე სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. სკოლაში წახალისებულია არაფორმალური ურთიერთობების ინიციატივები, რაც თავის მხრივ ამტკიცებს თანამშრომელთა ჯანსაღ, კოლეგიალურ პარტნიორობას ფორმალურ საქმიანობაში. მასწავლებლების ინტეგრაციისთვის სკოლის მიერ ეწყობა გაცნობითი ხასიათის შეხვედრები, ახალ მასწავლებელს/თანამშრომელს სკოლა აცნობს თანამშრომლებს, პედაგოგიურ საბჭოზე ხდება ახალი მასწავლებლის წარდგენა, რათა ადვილად მოხდეს ინტეგრაცია. ახალ თანამშრომელს სკოლა აცნობს სკოლის ინფრასტრუქტურას, ათვალიერებინებს სასკოლო სივრცეს, მოსწავლეებს ახალ მასწავლებელს სკოლის დირექტორი წარუდგენს.

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მეთვრამეტე თავში დეტალურადაა განმარტებული და აღწერილი, თუ რას აკეთებს სკოლა თანამშრომელთა ადაპტაციისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულია პერსონალის მოტივირება და წახალისება, რომელიც გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას და მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. წახალისების მექანიზმებს ვხვდებით სკოლის შინაგანაწესშიც, რომლის შესაბამისადაც, პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. პერსონალის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალისა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ფუნქცია-მოვალეობები
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- პერსონალის პირადი საქმეები
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- სკოლის fb გვედრი
- შინაგანაწესი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლამ 2025 წლის მაისში დაამტკიცა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. დოკუმენტის მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია დირექტორის მოადგილე. დოკუმენტით დარეგულირებულია სწავლა-სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვა. აღნიშნული დოკუმენტი ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. დოკუმენტის შექმნის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი მუდმივი განვითარებისთვის ხელისშეწყობა. სკოლაში მიმდინარეობს ორი ტიპის შეფასება:

ა) შიდა შეფასება - რომლის სისტემაც დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე;

ბ) გარე შეფასება - რომელსაც წარმოადგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ავტორიზაციის გავლა. აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხარისხის შემოწმების პროცედურები. სკოლა გამოთქვამს მზაობას იხელმძღვანელოს აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით მომავალი სასწავლო წლიდან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის შესაბამისადაც, სკოლის პროცესები იყოფა მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებად. სკოლის მმართველობითი პროცესებია: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა და ხარისხის უზრუნველყოფა. სკოლის ძირითადი პროცესები კი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. რაც შეეხება სკოლის დამხმარე პროცესებს, ის მოიაზრება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოებას, მოსწავლისა და საბიბლიოთეკო სერვისების

განხორციელებას, ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვას, უსაფრთხოების უზრუნველყოფას და წესრიგის დაცვას, საზოგადოებასთან ურთიერთობას, საქმისწარმოებასა და (დოკუმენტბრუნვა) კარიერული განვითარებას.
სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში. მათ შორის, შინაგანაწესში, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებში, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში, კურუკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიაშისა და სასკოლო სასწავლო გეგმაში. აღნიშნული პროცესების აღწერას მოიცავს ასევე ხარისხის უზრუნველყოფისა პოლიტიკისა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტები.

სკოლაში არსებული დამხმარე პროცესებს განსაზღვრავს სკოლის საქმისწარმოების წესი და სკოლის საქმიანობა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ იდენთიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას შემუშავებული და დირექტორის 20 მაისის #2-34 ბრძანებით დამტკიცებული აქვს საჩივრის/განცხადების განხილვის წესი. სტრუქტურული ერთეულების/შტატების ჩამონათვალი, ასევე უზრუნველყოფენ სკოლაში და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვას.
ამ მიზნით:

- სკოლას აქვს შინაგანაწესი;
- სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო;
- სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი;
- სკოლას ჰყავს მანდატურები;
- სკოლის ექიმის/ექთანი;
- თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი;
- სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა.

სკოლის მიერ შემუშავებულ და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ მოსწავლის, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი სკოლის შინაგანაწესით მოსწავლისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები სასკოლო სასწავლო გეგმასთან და ზოგადად, სკოლაში

მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში. მოსწავლეებს, მშობლებსა და სკოლის ყველა თანამშრომელს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ არამართლზომიერი ქმედებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს საჩივრის/განცხადების განხილვის მექანიზმი, ასევე სკოლის შინაგანაწესში გაწერილია თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები და დაცვის საკითხები. სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს სკოლისა და დასაქმებულის ფუნქიებს, უფლებებსა და ვალდებულებებს. მოსწავლის მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არეგულირებს ორივე მხარის უფლებებსა და ვალდებულებებს. სკოლის შინაგანაწესს იცნობს და ადასტურებს ხელმოწერით როგორც მშობლებია ასევე მთანამშრომლები. ასევე შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- სკოლის დირექტორის ბრძანება განცხადების/საჩივრის განხილვის წესის თაობაზე

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას აქვს მართვის პროცესებთან საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები, რაც მოიაზრებს სამუშაო შეხვედრებს, სადამრიგებლო რგოლის მიერ დაორგანიზებულ მშობელთა კრებებს. სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრთა თანაბარი ჩართულობა მმართვის პროცესში. ამისათვის

სკოლაში შემუშვებულია ინფორმაციის მიწოდების მრავალფეროვანი მექანიზმები ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. კერძოდ, პირდაპირი კომუნიკაციის გარდა საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდება ვებ გვერდის, სოციალური ქსელის საშუალებით, ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. სკოლა ინფორმაციის მოსაწოდებლად იყენებს სოციალური ქსელების დახურული ჯგუფებს. უკუკავშირის მიღება ხდება როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით, გამოყენებულია როგორც სოციალურ ქსელი, ელექტრონული ფოსტა და კითხვარები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში აქტიური ჩართულობის კუთხით აღსანიშნავია სამეურვეუო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან 3 მასწავლებელი, 3 მშობელი და მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. პედაგოგიური საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია მასწავლებლებით, ასევე საგნობრივი კათედრები და მოსწავლეთა თვითმმართველობა.

მშობელთა აქტიური ჩართულობა დადებითად აისახება სასკოლო საზოგადოებაზე, მასწავლებლებსა და მოსწავლეებზე. სკოლა ხელს უწყობს მშობლის ჩართულობას როგორც მართვის, ასევე, უშუალოდ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებასა და რეალიზებაში. სკოლა ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებსა და სხვა დასაქმებულ პირებთან, რაც უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდებას. სკოლის სხვადასხვა სამართლებრივი აქტითა და დოკუმენტაციით განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი. კერძოდ, სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიღების დღეები, როდესაც მშობელს ეძლევა შესაძლებლობა გაეცნოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ამომწურავ ინფორმაციას (აკადემიური მოსწრება, დისციპლინა და სხვა).

მოსწავლეთა მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის გასაუმჯობესებლად სკოლა გეგმავს მშობელთა კომიტეტის შექმნას მომავალი სასწავლო წლიდან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- მოსწავლეთა თვითმართველობის ოქმი;
- საინფორმაციო დაფები;
- სკოლის ვებ.გვერდი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო**

სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,ადამიანებისა და პროცესების უსააფრთხოების დოკუმენტი", რომლითაც სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხოების დაცვას, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას, პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.

დირექტორის ბრძანებით ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირად გასაზღვრულია სკოლის დირექტორი. სკოლას ჰყავს 3 მანდატური, აქედან ორი მანდატური პირველ შენობაში, ხოლო ერთი მანდატური მეორე შენობაში. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება დაცვის პოლიციასთან და რამდენიმე ოთახი აყვანილია დაცვაზე. სკოლა აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო კამერებით ორივე შენობაში. ვიდეოკამერები ერთი სკოლის შემთხვევაში ფარავს სკოლის შიდა პერიმეტრს და ეზოს გარკვეულ ნაწილს, მაგრამ ვიდეო კამერები ვერ უზრუნველყოფს მთლიანი ეზოს დაფარვას. მეორე შენობაში ხედვის არეში ექცევა როგორც შიდა პერიმეტრი ასევე გარე პერიმეტრი. სკოლა აღრიცხავს სკოლის ტერიტორიაზე შესული სტუმრის მონაცემებს, სკოლაში შემოსვლისა და გასვლის დროებს სპეციალურ ჟურნალში. სკოლაში შემოღებულია მასწავლებელთა მორიგეობა, განრიგი გამოკრულია დერეფნებში. ყველა დამრიგებელს დილიდანვე აქვს კომუნიკაცია მშობლებთან მოსწავლეთა გაკვეთილების გაცდენის მიზეზების დასადგენად.

სკოლას ფიზიკური უსაფრთხოების კუთხით ჰყავს სკოლის ექიმი ერთ შენობაში, ხოლო მეორე შენობაში ექთანი.

სკოლას აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა ორივე შენობაზე(საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2025 წლის 05 ივნისის წერილი N3 250170507).

სკოლის ერთი შენობა არის ახლად რეაბილიტირებული და შენობის ჩაბარება ვიზიტის პერიოდისთვის არ იყო განხორციელებული, ხოლო მეორე შენება 2021 წელს აშენდა. შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა სკოლას არ აქვს მოპოვებული, იმის გამო რომ შენობა არ არის ჩაბარებული და ჩაბარების შემდეგ საჭიროა ახალი ნახაზების, საევაკუაციო გეგმებისა და სხვა პროცედურების განხორციელება.

სკოლას არ აქვს ასევე შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა მოპოვებული. სკოლის ერთი შენობის ეზო არ არის შემოსაზღვრული ღობით. სკოლამ შესაბამისობის გეგმითმით განსაზღვრულ ვადაში 2026 წლის 1 მაისამდე უნდა უზურნველყოს შენობის მდგრადობის დოკუმენტისა და სახანძრო უსაფრთხოების შემოწმების თაობაზე წერილობითი მიმართვის მომზადება შესაბამის სამსახურზე. მაგრამ სკოლამ ასევე უნდა უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიის ეზოს შემოღობვა. სკოლამ

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც განსაზღვრა აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება 2027 წლის 11 აგვისტომდე.

ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლას პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველსაყოფად, პირველ სართულზე მოწყობილი აქვს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციის გზით და

აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით: სამედიცინო ტახტი, საკაცე, მაცივარი და კარადები და სხვა. სკოლას კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ჰყავს აყვანილი შესაბამისი ექიმი, ხოლო სკოლის მეორე შენობაში ექთანი. აღსანიშნავია, რომ სკოლის სამედიცინო კაბინეტი უზრუნველყოფილია საჭირო მედიკამენტებით ექიმის/ექთნის მიერ ხდება გახარჯული და ვადაგასული მედიკამენტების აღრიცხვა საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპაციურიტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 41/ნ ბრძანების მიხედვით. ასევე ექიმი/ექთანი აწარმოებს მიმართვიანობის აღრიცხვას მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა სკოლაში რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტით. ამავე მიზნით სკოლაში ჩამოყალიბებულია მრჩეველთა საბჭო.

სკოლას ჰყავს სამი მანდატური. მანდატურები ზრუნავენ სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგზე, მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქოემოციურ უსაფრთხოებაზე. მანდატურები აკონტროლებენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრს. სკოლა აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო კამერებით.

დაცულია სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილება. სკოლია აღრიცხავს სკოლის ტერიტორიაზე შესული სტუმრის მონაცემებს, სკოლაში შემოსვლისა და გასვლის დროებისა და სტუმრის ხელმოწერით გატარებით აწარმოებს სპეციალურ ჟურნალს.

სკოლაში შემოღებულია მასწავლებელთა მორიგეობა, აღნიშნულის განრიგი გამოკრულია დერეფნებში.

ინფორმირებულობის მიზნით, სკოლაში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული შსს-ს, მანდატურის სამსახურის ცხელი ხაზის ნომრები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტში გაწერილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები. აღნიშნულს ასევე არეგულირებს სკოლის შინაგანაწესი. სკოლას შემუშავებული აქვს რეფერირების შიდა ინსტრუქცია.

ემოციური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოების კუთხით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დამრიგებლები და მასწავლებლები, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ მშობლებთან. სკოლას ასევე ჰყავს ფსიქოლოგი.

ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებას, არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას, მათ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობას, მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების მოკვლევასა და შესაბამის რეაგირებას, მშობელთა დამოკიდებულებებს და პასუხისმგებლობას შვილების მიმართ. სკოლის მხრიდან ხშირად იმართება პრევენციული ღონისძიებები ბულინგის საწინააღმდეგოდ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სანიტარული ნორმების დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დამლაგებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას.

დამლაგებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და სკოლის მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად, დამლაგებლები ვალდებული არიან ყოველდღიურად დაალაგონ სველი წესით და დაიცვან სისუფთავე საკლასო ოთახებში, დერეფანში და ასევე სველ წერტილებში. დამლაგებლის მუშაობას ყოველდღიურ მონიტორინგს უწევს სკოლის ექიმ/ექთანი. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში ვიზიტის პერიოდში, სკოლის შენობაში და სველ წერტილებში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილი იყო პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებითა და საჭირო რესურსებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარისა და საწმენდი საშუალებების შესანახად სკოლაში არის გამოყოფილი ცალკე ოთახი. საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება აღნიშნულ ოთახში. სკოლას მიეცა რჩევა: რეგულარულად უზრუნველყოს სკოლის ეზოს საფარის გაკაფვა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომელიც გამოიყენება სკოლის მიერ მოსწავლეების, მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და სხვა დასაქმებული თანამშრომლების მონაცემთა დამუშავების პროცესში და ვრცელდება სკოლის მიერ მონაცემების ნებისმიერი ფორმით დამუშავებაზე. აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად მოიცავს და განმარტავს შემდეგს:

ა) მონაცემთა სუბიექტები;

ბ) მონაცემთა დამუშავების მიზნები და საფუძვლები;

გ) მონაცემთა კატეგორია;

დ) მონაცემთა მიღების წყაროები;

ე) მონაცემთა სუბიექტის უფლებები;

ვ) მონაცემთა გამჟღავნება და შენახვა;

ზ) ვიდეომონიტორინგი

თ) მონაცემთა უსაფრთხოება;

ი) მონაცემებზე წვდომა;

კ) თანამშრომელთა ვალდებულებები;

სკოლას საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ბრძანებით განესაზღვრა პირი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის ფუნქციის შესრულებას. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულების საკითხი. ვიზიტის დროს შენობის დათვალიერებისას აღმოჩნდა რომ ვიდეოკამერა დამონტაჟებული იყო სპორტდარბაზში. მინისტრის 06 ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად სკოლამ უზრუნველყო კამერის შეფუთვა, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა მადატურის სამსახურს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, რომლის შესაბამისადაც ხორციელდება მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დამუშავება, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნობრიობის გათვალისწინება და პერსონალური მონაცემების დაცვა. სკოლაში დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაძლებელია ჰქონდეს: დირექტორს, საქმისმწარმოებელს, ბუღალტერს, დამრიგებელს, მასწავლებელს, ექიმს/ექთანს. სკოლის დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს დაცულია და ინახება სკოლის კანცელარიაში.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

ვინაიდან ხორციელდება სკოლის პირველადი ავტორიზაცია, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება
- ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- საგანგებო მართვის გეგმა (შეთანხმებული) ;
- ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის ფუნქციის შემსრულებელი პირის განსაზღვრაზე;
- ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულების განსაზღვრაზე;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა უზრუნველყოფილია მოსწავლეთა აღნიშნული რაოდენობისთვის საჭირო საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ შენობაში ერთი შენობა ახლად რეაბილიტირებული ორ სართულიანია, სასწავლო პროცესი ამ შენობაში მიმდინარეობს მიმდინარე წლის მარტიდან, ხოლო მეორე შენობა არის 2021 წელს აშენებული ერთსართულიანი შენობა. 2021 წელს აშენებულ სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ეზო, სპორტული მოედანი. ხოლო ახლად რეაბილიტირებული სკოლის ეზო სრულად შემოსაზღვრული არ არის და მოსაწყობია. სკოლის ახლად რეაბილიტირებულ შენობაში: 12 საკლასო ოთახი, 1 რესურსოთახი, ექიმის კაბინეტი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია განთავსებულია ერთ სივრცეში, სპორტული დარბაზი, სასადილო სივრცე, სააქტო დარბაზი, სველი წერტილები, რომელთა ნაწილი ადაპტირებულია, საბუნებისმეტყველო მეცნიერების საგნებისთვის გამოყოფილია ცალცალკე ლაბორატორია აღჭურვილი შესაბამისი რესურსით. ასევე სკოლას ყველა საგნისთვის აქვს გამოყოფილი შესაბამისი კაბინეტი, სკოლის კანცელარიაში განთავსებულია საქმისმწარმოებლისა და ბუღალტრის სამუშაო მაგიდა, სკოლას აგრეთვე აქვს არქივისთვის გამოყოფილი სივრცე. ჩამოსაწერი წიგნებისთვის საცავი. სთითოეულ საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი

და ელექტროგანათება. სკოლას შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის სპეციალური მაგიდის შეძენა 2026 წლის 1 მაისამდე სკოლის ბიუჯეტით. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამოკრულია ლაბორატორიით სარგებლობის წესები, ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ლაბორატორიაში ბიბლიოთეკით სარგებლობისა კომპიუტერით სარგებლობის წესები. სკოლაში დამონტაჟებულია ლიფტი, შენობაში ორივე სართულზეა ფართო ფოიე, რომელიც გამოყებეულია, როგორც საგამოფენო სივრცედ ასევე დასასვენებელ სივრცედ, ასევე ფოიეში განთავსებულია მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა და გამოყენება ხდება, როგორც შესვენებაზე ასევე სპორტის გაკვეთილებზე. სკოლას ახლადრეაბილიტირებულ შენობაზე გასაკეთებელი აქვს ახალი აზომვითი ნახაზი, რომლის ვადად შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქვს 2026 წლის 1 მაისი. სკოლის მეორე შენობაში განთავსებულია ექთნის ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. სკოლის ბიბლიოთეკა და კოპიუტერული ლაბორატორია განთავსებულია ერთ სივრცეში, მოწესრიგებულია საპირფარეშოები, ასვე აქვთ ადაპტირებული საპირფარეშო, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, საკლასო ოთახები, რესურსოთახი, ადმინისტრატორის ოთახი, სამასწავლებლო, შენობა ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.

ვინაიდან სკოლას საბუნებუსმეტყველო ლაბოტრატორიაში არ აქვს სპეციალური მაგიდა, სკოლას ახლადრეაბილიტირებულ შენობაზე გასაკეთებელი აქვს ახალი აზომვითი ნახაზი და გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში 2026 წლის 1 მაისამდე უზრუნველყოფა **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლებისათვის ყველა საჭირო რესურსი ხელმისაწვდომია. საერთო სივრცეებით სარგებლობის პირობები, კერძოდ, საბუნებისმეტყველო დლაბორატორიით, კომპიუტერი ლაბორატორიით, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე და იცნობს სასკოლო საზოგადოება. ასევე ხელმისაწვდომია რესურს-ოთახი, სპორტული ინფრასტრუქტურა. სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია არა მარტო სასკოლო საზოგადოებისთვის, არამედ თემისთვის. სკოლის სპორტულ დარბაზსა და მოედანზე ხშირად ტარდება შეჯიბრებები, სპორტის სხვადასხვა სახეობებში. სააქტო დარბაზი გამოიყენება ღონისძიებების, შეხვედრების მოსაწყობად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას დირექტორის 2025 წლის 14 მაისის #2-20 ბრძანებით დამტკიცებული აქვს საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც შეიქმნა კანონმდებლობაზე დაყრდნობით. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც ინფრასტრუქტურულად გამართულია.

წიგნადი ფონდი შედგება მხატვრული, სამეცნიერო, ლიტერატურის, ლექსიკონების, ფოტო და სამხატვრო ალბომების,სხვადასხვა თემატიკის ენციკლოპედიების, საბავშვო ლიტერატურისაგან. სკოლას აქვს სასკოლო გეგმით დამტკიცებული ყველა გრიფირებული სახელმძღვანელოს საჭირო და საკმარისი რაოდენობა.

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. სკოლა ადგილობრივი რესურსცენტრიდან სისტემატურად იღებს დამხმარე მეთოდურ ჟურნალებს, გაზეთებსა და ბროშურებს. ბიბლიოთეკა და კომპიუტერულის ლაბორატორია განთავსებულია ერთ სივრცეში. ქსეროქსის აპარატი და კომპიუტერები, რომელიც ჩართულია ინტერნეტში ხელმისაწვდომია ყველასთვის.

წიგნების აღრიცხვა ხდება სარეგისტრაციო ჟურნალში. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველ სამუშაო დღეს 09.00 დან 17.00 საათამდე.

სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებთან ფორმდება წიგნების გადაცემის ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები. სასწავლო წლის განმავლობაში რამდენჯერმე მოწმდება სახელმძღვანელოების ვარგისიანობა.

სკოლის ბიბლიოთეკარი ჩართულია იმ პროექტებში, რომელიც წიგნიერებას უკავშირდება;

სკოლა უზრუნველყოფს ახალი ლიტერატურით ფონდის შევსებას სკოლის ბიუჯეტიდან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სასკოლო გეგმით გათვალისწინებული ინკლუზიური გარემოს შექმნას ხელს უწყობს ასევე ფიზიკური გარემოს ინკლუზიურობაც სკოლის ორივე შენობაში. შენობაში შესვლა შესაძლებელია დამონტაჟებული პანდუსით. ხოლო მეორე სართულზე გადასაადგილებლად სკოლაში დამონტაჟებულია ლიფტი, ვიზიტის პერიოდში ლიფტი არ მუშაობდა, სკოლის განმარტებით ელოდებოდნენ შენობის გადაბარების პროცესს. ყველა საერთო სარგებლობის სივრცე ხელმისაწვდომია შშმ პირებისთის. საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით. მეორე შენობის სკოლის ეზო კი გამწვანებულია და წარმოადგენს რეკრეაციულ სივრცეს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლას მნიშვნელოვნად მიაჩნია მოსწავლეებისათვის სკოლაში იყოს სოციალიზაციისათვის შესაფერისი გარემო და ინფრასტრუქტურა, რომელიც ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლაში სოციალიზაციას ხელს უწყობს დერეფნისა და საკლასო ოთახების კედლებზე გამოკრული მოსწავლეთა ნამუშევრები, საკლასო/სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები და მოსწავლეების ხელით შექმნილი სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები. სკოლის პირველ სართულზე გამოფენილია სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეული წარმატებისთვის გადაცემული ჯილდოები და სიგელები. სპორტული ღონისძიებებისათვის სკოლა იყენებს სპრტდარბაზს ერთ შენობაში, სპორტულ მოედნან მეორე შენობაში. ღონისძიებები ასახულია სოციალურ ქსელ facebook-ის გვერდზე.

სკოლის ფართობი მაქსიმალურად ეფექტურად არის გამოყენებული. სოციო-კულტურული და სასწავლო-შემეცნებითი აქტივობებისთვის, სკოლა იყენებს სააქტო დარბაზს, სპორტულ დარბაზს, ბიბლიოთეკას - კომპიუტერულ ლაბორატორიას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტებს. მოსწავლეთა თვითმმართველობისთვის, საკლუბო მუშაობისთვის სკოლა გეგმავს ფუნქციური სივრცეები გამოყოფას. სკოლის მოსწავლეებს მიეცემათ შესაძლებლობა დასვენებებზე, საგაკვეთილო პროცესის შემდგომ აღნიშნულ სივრცეებში მოაწყონ შეხვედრები, ისაუბრონ სამომავლო გეგმებზე, იმუშაონ ახალ პროექტებზე, იმსჯელონ და განვითარდნენ სრულფასოვან პიროვნებებად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- კომპიუტერების, პრინტერების, პროექტორის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- საბიბლიოთეკო რეუსრსითა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსით სარგებლობის წესი;
- ფოტომასალა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას აქვს საკმარისი რაოდენობის კომპიუტერები. ასევე, ადმინისტაციული პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვის აქვთ მოწესრიგებული და გამართული პრინტერები, რომლებიც მუშაობს შეუფერხებლად. მათ ემსახურებათ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის აიტი სპეციალისტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სკოლაში წამოჭრილი პრობლემების აღმოფხვრას.

სკოლა ელექტრონული საქმისწარმოებას ახორციელებს - email.mes.gov.ge, e-Flow.emis.ge. e-School.emis.ge ელექტრონულ სისტემაში, რაც შესაძლებლობას იძლევა სრულფასოვნად წარმართონ ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს კომპიუტერიულ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი. ინფორმაციულ ტექნოლოგიების ყველა გაკვეთილი კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტარდება. მოსწავლეებს შეუძლიათ გაკვეთილების შემდეგ ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით დადგენილი წესის მიხედვით. აღნიშნული ტექნიკის გამოყენება შეუძლიათ მასწავლებლებს გაკვეთილების დაგეგმვა-ჩატარებისა და პროფესიული განვითარების მიზნით. საერთო სარგებლობის სივრცეები უზრუნველყოფილია კომპიუტერებით და ყველას შეუძლია გამოყენება საჭიროების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის მასალები
- მიღება-ჩაბარების აქტები
- კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. საქმისწარმოების წესში განსაზღვრულ პროცედურებს სკოლა აღასრულებს ზედმიწევნით. წესის მიხედვით განსაზღვრულია, რა ტიპის დოკუმენტაცია იწარმოება სკოლაში. მასში გაწერილია: ბრძანების, ოქმი, ცნობის, წერილის გაფორმების პროცედურები; ჩამოთვლილია დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალების სახეობები; აღწერილია, როგორ ხდება შემოსული და გასული დოკუმენტის რეგისტრაცია, ბრძანებების და შრომითი ხელშეკრულებების მომზადება. სკოლის საქმისმწარმოებელთან ინტერვიუმ და დოკუმენტაციის მატერიალურად გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ სკოლა სრულად იცავს საქმისწარმოების დებულებით გათვალისწინებულ პროცედურებს. დირექტორის გამოცემული ბრძანებები არ მოიცავდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექის 52-ე მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისობაში. კერძოდ აკლია ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა,,ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანო", მაგრამ სკოლამ ვიზიტის დროს გაითვალისწინა რჩევა და ბრძნება გამოცა ზოგად ადმინისტრაციული კოდექსით განსაზრვრული ნორმების დაცვით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით. მოქმედებს დოკუმენტბრუნვის - eflow- ელექტრონული სისტემა, სადაც ხდება ყველა შემოსული და გასული დოკუმენტების, ბრძანებების გატარება, ნომრის მიცემა და შესაბამის ჟურნალში რეგისტრაცია. ჟურნალები აკინძული, დანომრილი და ბეჭედდასმულია. სკოლის ადმინისტრაცია აღჭურვილია გამართული კომპიუტერული ტექნოლოგიით.

დოკუმენტების მიღება და გაგზავნა შესაძლებელია სკოლის ელექტრონული ფოსტის, eflow-ს გამოყენებით ან/და მატერიალური ფორმით (საქართველოს ფოსტის მეშვეობით).

სკოლის ადმინისტრაცია მართვის პროცესში აქტიურად იყენებს ტექნოლოგიებს, კერძოდ, პერსონალისთვის ინფორმაციის მიწოდება ხდება როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული არხების მეშვეობით. ტექნოლოგიები უფრო ეფექტურს ხდის მართვის პროცესს. პერსონალისგან ინფორმაციის მიღება, დახარისხება და ანალიზი ტექნოლოგიების გამოყენებით ზოგავს დროს, მატერიალურ რესურსს. სკოლის ადმინისტრაცია აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერებით.

ფინანსური საკითხებისა და ანგარიშგების კუთხით ყველა დოკუმენტაცია იტვირთება ელექტრონულ სისტემებში: rs.ge, spa.ge, pensions.ge, signature.emis.ge,

სასწავლო პროცესის მართვისა და შეფასების კუთხით გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი onlineschool.emis.ge, რომელშიც აისახება მოსწავლეთა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები.

სკოლაში კანონმდებლოს შესაბამისად არის მოწესრიგებული და დაცული პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი მონაცემები. კერძოდ, სკოლაში ახალი თანამშრომლისა და მოსწავლის პირველ კლასში მიღებისას იხსნება მათი პირადი საქმე, ასევე თანამშრომელსა და სკოლას შორის იდება შრომითი ურთიერთობის ხელშეკრულება და ნომრის მითითებით ტარდება შრომითი ხელშეკრულების რეგისტრაციის ჟურნალში. მოსწავლის პირად საქმეში ინახება მისი დაბადების მოწმობის ასლი, მშობლების პირადობის ასლები და მათი საკონტაქტო ნომრები, ჯანმრთელობის ფორმა.

მოსწავლის პირადი საქმეში ყოველწლიურად ხდება შეფასება კლასიდან კლასში გადასვლასთან დაკავშირებით, რომელსაც ადასტურებს ხელისმოწერითა და ბეჭდით დირექტორი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი. სკოლაში იწარმოება ორი სახის ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი: საერთო, საკადრო. სკოლა აწარმოებს თანამშრომელთა საათობრივი სამუშაოს აღრიცხვას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სკოლის

საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემა eschool-ში შეყვანილია სკოლის ყველა თანამშრომლის, მოსწავლისა და მშობლის მონაცემები, რომლებიც განახლებადია. დაწესებულება სისტემაში ახორციელებს განრიგის შექმნას (გაკვეთილების ცხრილი სემესტრის მიხედვით) საგნების განაწილებას, კლასების შექმნას, ლიმიტების მითითებას. დირექტორის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, სისტემაში აისახება მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება, კლასის/დონის დაძლევა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს ფინანსური და სასწავლო წლის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო ყოველი წლის 10 დეკემბერს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, პრემიერ მინისტრს, პრეზიდენტსა და საკანონმდებლო მაცნეს საჯარო ინფორმაციის წარდგენის შესახებ ანგარიშს.

გარდა ამისა, სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი
- თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების ჟურნალი
- დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოს
- ფინანსური ანგარიში
- ანგარიში პრემიერმინისტრს

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა ცდილობს საზოგადოებასთან ეფექტური ურთიერთობების დამყარებას და ზრუნავს მის შენარჩუნებაზე.

სკოლა საზოგადოებასთან შესაბამისი და დროულად ინფორმაციის მისაწოდებლად მუდმივად იყენებს სკოლის ვებგვერდს skolebi.emis.ge –ზე, ელექტრონულ ფოსტას sakobo@mes.gov.ge და Facebook ოფიციალურ გვერდს. თანამშრომლებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად, გამოიყენება სატელეფონო კავშირი, სკოლის ვებგვერდი და სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა და სკოლის ღია სივრცეში განთავსებული საინფორმაციო დაფა, სადაც ქვეყნდება ინფორმაცია.

მოსწავლეებისთვი ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს კონკრეტულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი.

მოსწავლეებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება სკოლის ელექტრონული ჟურნალი, teams, ელ.ფოსტა, ვებგვერდი, სოციალური ქსელი, სკოლის შენობის ღია სივრცე, სადაც გამოიკვრება შესაბამისი ინფორმაცია, სატელეფონო კავშირი. ასევე ინფორმაციის მიწოდება პირდაპირი კომუნიკაციის გზით ხდება საკლასო ოთახებში ან შეხვედრის ორგანიზებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის მიერ ნებისმიერი საკომუნიკაციო არხით გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. სკოლაში ინფორმაცია ძირითადად შემოდის eflow-და ელეტროქნულ ფოსტაზე. ელექტრონულ ფოსტაზე გარეშე პირისგან შემოსული ინფორმაცია ზუსტდება და მხოლოდ ამის შემდეგ ვრცელდება და ქვეყნდება. სკოლა ასევე ინფორმაციას იღებს მხოლოდ კონკრეტული ორგანიზაციებისა თუ სტრუქტურების ოფიციალური ვებ და ფბ გვერდებიდან. შესაბამისად, მიღებული ინფორმაციის გასავრცელებლად სკოლა იყენებს ოფიციალურ ვებ და ფბ გვერდებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სკოლა უკუკავშირს ძირითადად იღებს ელექტრონულ ფოსტაზე და სკოლის ფბ გვერდზე. სკოლა მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებს ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას.

მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული არჩევითი საგნების არჩევის პროცესში. ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე.

უკუკავშირს მიღება ხდება ასევე მშობელთა კრებებზე, სადაც მშობლები ეცნობიან მარეგულირებელ დოკუმენტებს, სამოქმედო გეგმებს და მათგან მიღებულ რეკომენდაციებს ითვალისწინებენ შემდგომი ცვლილებებისთვის.

მოსწავლეების უკუკავშირი მიიღება როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებგვერდი skolebi.emis.ge- ზე. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, შესაბამისად, ყველა ინფორმაცია გამოქვეყნებულია ქართულ ენაზე.სიახლეები და მიმდინარე პროექტების/ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია აქტიურად ქვეყნდება სკოლის fb გვერდზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას გვერდი, https://skolebi.emis.ge/, შეიცავს სკოლის შესახებ შემდეგ ინფორმაციას: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, საკონტაქტო ინფორმაცია, მოსწავლეთა რაოდენობა, სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, პროგრამები, ინფრასტრუქტურა, ფინანსები, ინფორმაცია მოსწავლის პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების შესახებ, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმებს.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის პროფილი eschool-ის ბაზაში
- Eflow, email.mes.gov.ge დათვალიერება
- https://skolebi.emis.ge/,

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს. სკოლის შემოსავლის წყარო არის ვაუჩერული დაფინანსება და სსსმ მოსწავლეების პროგრამული დაფინანსება. სკოლის შემოსავლის ძირითადი ნაწილი განკუთვნილია მასწავლებლების, ტექ.პერსონალის და თანამშრომლების ხელფასებისა და კომუნალური ხარჯების გასასტუმრებლად. სკოლას აქვს შესყიდვების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც პერიოდულად ხორციელდება კორექტირება დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ასევე, სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული და დამტკიცებული 2025 წლის ბიუჯეტი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის, ეფექტიანი სისტემა. ბიუჯეტის დაგეგმვა ხდება გასული წლის მონაცემების დამუშავებით, გათვალისწინებულია ასევე წინა წლის შესყიდვების გეგმის შესრულების ხარჯვითი ნაწილი, განსაზღვრულია ახალი საჭიროებები, გათვალისწინებულია სკოლის ბიუჯეტის ოდენობა, რაც რჩება ხელფასის, კომუნალური და სხვა აუცილებელი ხარჯების შემდეგ. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე. გეგმის შექმნამდე სკოლა ითვალისწინებს კათედრების მიერ

მიწოდებულ ინფორმაციას სასკოლო კურიკულუმებისა და პროექტების განსახორციელებელი საჭირო რესურსების შესყიდვების შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025 წლის ბიუჯეტი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი (ბიუჯეტის დამტკიცებაზე);
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- წლიური ბალანსი;
- შესყიდვების დოკუმენტაცია.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

   სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელიც შესაბამისობაში მოდის

მოქმედ კანონმდებლობასთან და მასში გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები, დისციპლინური წარმოების საკითხები, მოსწავლის დისკრიმინაციისაგან დაცვის მექანიზმები და სხვა. სკოლას დამტკიცებული აქვს „ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოების დებულება“, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის / სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას, საგანმანათლებლო და საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, საზოგადოებრივი წესრიგის და ფიზიკური წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის საკითხები. ასევე, სკოლას გააჩნია „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის“ დოკუმენტი სადაც განსაზღვრულია, სასკოლო საზოგადოების წევრების, (მათ შორის, მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/ კანონიერი წარმომადგენლების) კანონიერი უფლებების დაცვის, გასაჩივრების

მექანიზმები, არეგულირებს სკოლის ვალდებულებებს, რათა დაიცვას მოსწავლის საუკეთესო ინტერესები, შეუქმნას მას ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო.

სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული „პერსონალური მონაცემთა დაცვისა და მონიტორინგის მექანიზმები“ მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს.

სკოლაში უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლების პროცესი, ფუნქციონირებს ისგ ჯგუფი, შემუშავებული აქვთ სავალდებულო მეთოდური, საგნობრივი დოკუმენტაცია, აქვთ მონიტორინგის მექანიზმები. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლებას. დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმაში ერთ-ერთი თავი ეძღვნება

„მოსწავლეთა უფლებების დაცვას სასწავლო პროცესში“ (განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რესურსებზე წვდომა, სამართლიანი შეფასება, უსაფრთხო გარემოს შექმნა და ა.შ.)

შემუშავებული და დამტკიცებულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც დისციპლინური კომიტეტში, მრჩეველთა საბჭოსა და სამეურვეო საბჭოში ჰყავს მის მიერ წარდგენილი წევრები.

ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, რომ სკოლას აქვს მოსწავლის დისკრიმინაციიდან დაცვის მექანიზმები, უზრუნველყოფილია მათი მონაწილეობა თვითმმართველობაში, ფუნქციონირებს დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირების მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

1. მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი,რომლის საჯაროობა უზრუნველყოფილია; სკოლის მიერ წარმოდგენილი, მშობელსა და დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ცხადი ხდება, რომ მშობელი აღიარებს სკოლის შინაგანაწესს, როგორც ამ ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს (ადასტურებს ხელმოწერით).

სკოლის ადმინისტრაციისა და უფლებამოსილი პირების მხრიდან არსებობს შესაბამისი მზაობა მოსწავლეთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში ქმედითი ღონისძიებების გატარებისათვის. სასწავლო წლის დასწაყისში კლასის დამრიგებელი მოსწავლეებსა და მშობლებს აცნობს შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სკოლაში საჯაროდ არის განთავსებული საკონტაქტო ინფორმაცია იმ პირებისა და ორგანოების შესახებ, რომლებმაც უნდა მოახდინონ რეაგირება მოსწავლეთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მშობელთან / მის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის მიზანია ორ მხარეს შორის წარმოშობილი ურთიერთობების დარეგულირება; ხელშეკრულებაში გაწერილია ნომერი, თარიღი, ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, სკოლის საქმიანობა, მხარეთა უფლება-მოვალეობანი, მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების საკითხი, მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, სხვა პირობები. ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ მხარეებს შორის არსებული ურთიერთობები სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად რეგულირდება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება
- სკოლის შინაგანაწესი
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი
- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს: მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი, რომელიც არეგულირებს შემდეგ საკითხებს: პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრას, პირველ კლასში მოსწავლის რეგისტრაციის, ჩარიცხვისა და საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის პროცედურებს, სხვა კლასებში ჩარიცხვის წესს, მოსწავლის სტატუსის შეჩერებას.
ვიზიტის დროს მოვახდინეთ საფეხურის დაძლევისა და პირველკლასში მოსწავლეთა ჩარიცხივის ბრძნებებისა და დოკუმენტების გადამოწმება. სკოლის მიერ ბრძანებით დამტკიცებულ წესში სკოლას განსაზღვრული ჰქონდა კანონმდებლობის ძველი ვერსიები მაგ. პირველკლასში მისაღები ასაკი, მობილობის ვადები და ა.შ). სკოლას მიეცა რჩევა აღნიშნული ცვლილებების შეტანის თაობაზე, სკოლამ გასწორებული დოკუმენტი განათავსა სკოლის ვებგვერდზე skolebi.emis.ge-ზე.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

დაწესებულება მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის პროცესს ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით და აღნიშნულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით შემუშავებული წესის შესაბამისად. მოსწავლის ჩარიცხვა მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე ხორციელდება, დაცულია პროცედურები და ვადები; კანონთან შესაბამისობაშია სკოლაში ჩარიცხვის მსურველი პირის წარსადგენი დოკუმენტაცია. მოსწავლეთა მიღების დროს სკოლა ითვალისწინებს განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპს; სხვა შემთხვევებშიც, რეაგირება ხდება არსებული კანონმდებლობის და სკოლის მიერ დამტკიცებული წესის ფარგლებში.

ასევე ვიზიტზე გადამოწმდა პირველკლასელთა ჩარიცხვის ბრძანებები აღმოჩნდა რომ დირექტორმა ბრძანებები გამოსცა ვადის დარღვევით. მიუხედავად ამისა, არ შეზღუდულა მოსწავლეთა სკოლაში რეგისტრაცია და ყველა მსურველის მოთხოვნა სკოლაში ჩარიცხვასთან დაკავშრებით დაკმაყოფილდა. თუმცა მომავალში კონტიგენტის ზრდის შემთხვევაში, აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთი მოსწავლის უფლებების დარღვევა. ამიტომ სკოლას მიეცა რჩევა დაიცვას მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული ვადები პირველკლასში მოსწავლეთა რეგისტრაციისა და საბუთების წარდგენის ვადები და 04/ნ ბრძანები მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განიხილოს მშობლის განცხადება და წარდგენილი დოკუმენტაცია და დოკუმენტის სრულად წარდგენის შემთხვევაში 2 სამუშაო დღის ვადაში გამოსცეს მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გამოცეს ბრძანება, და მე-3 პუნქტის შესაბამისად ინფორმაცია ასახოს მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმასა და საგნობრივ კურიკულუმებში განსაზღვრული სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურების სახეები, პირობები, საგანმანათლებლო პროგრამები. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში გეგმავენ და ახორციელებენ მშობელთა კრებებს, სადაც დამსწრე საზოგადოებას აწვდიან ინფორმაციას სკოლის შინაგანაწესის, ახალი სასკოლო სასწავლო გეგმის, შეფასების სისტემის, მოსწავლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ. სკოლას აქვს მოქმედი გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook), სადაც ასევე ქვეყნდება განახლებადი ინფორმაცია, სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისათვის. დაწესებულება ასევე უზრუნველყოფს ინფორმაციის განახლებას სკოლების პორტალზე (skolebi.emis.ge). სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სიახლეები, სასკოლო საზოგადოება იცნობს სკოლის შინაგანაწესს. მოსწავლეები და მშობლები წინასწარ არიან ინფორმირებულნი საგანმანათლებლო პროექტების, საკლუბო აქტივობების შესახებ, ელექტრონული არხების გამოყენებით ან უშუალო კომუნიკაციის გზით, პასუხისმგებელი პირების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია აქტივობების, სერვისების, პროგრამების, რესურსების შესახებ გამჭვირვალეა; სკოლის დირექცია, პედაგოგები, დამრიგებელი სისტემატურად ახდენენ საზოგადოების ინფორმირებას სკოლაში

მიმდინარე პროცესების, ფორმალური და არაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ. სკოლაში განთავსებულია საინფორმაციო დაფები, სადაც ხდება ინფორმაციის განთავსება და მისი პერიოდული განახლება, დამრიგებლები ატარებენ წინასწარ დაგეგმილ/აუცილებლობით გამოწვეულ მშობელთა კრებებს; მშობლები ინფორმირებული არიან ელექტრონული ჟურნალის შესახებ, რომლის დახმარებით იღებენ ინფორმაციას შვილების დასწრების და აკადემიური მოსწრების თაობაზე. ინფორმაციის გავრცელების, სასკოლო თემის ინფორმირების მიზნით გამოიყენება სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook). სკოლაში განსაზღვრულია ვებგვერდის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირი. დაწესებულება ზრუნავს იმაზე, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იყოს ობიექტური და სწორი, არ შელახოს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები, არ იყოს დისკრიმინაციული ხასიათის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება „მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის და სტატუსის შეჩერების და მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის შინაგანაწესი
- მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება
- მოსწავლის ამორიცხვის ბრძანება
- მოსწავლეთა საბაზო საფეხურის დაძლევის ბრძანება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას აქვს დირექტორის #2-36 ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის გარემოს ადაპტაციის წესი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციას და გაადვილოს პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსულთა ჩართულობა სასწავლო პროცესში. დოკუმენტი აღწერს სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა ადაპტაციის პრინციპებს, გამოყოფს მნიშვნელოვან ფაქტორებს, განსაზღვრავს პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლეთა, მობილობით გადმოსულ, საბაზო და საშუალო საფეხურზე მყოფ მოსწავლეთა ადაპტაციის საკითხებს, აღწერს წარმატებული ადაპტაციის და დეზადაპტაციის ნიშნებს და რეკომენდაციებს, დებულების გაცნობის წესს დაინტერესებული საზოგადოებისათვის. დაწესებულება გამოხატავს მზაობას, რომ მოახდინოს საჭიროებებზე დროული და ეფექტური რეაგირება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში მოქმედი წესის მიხედვით, სკოლა ხელს უწყოს მოსწავლის ადაპტაციას სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე. პირველკლასელთა ადაპტაციისათვის, პირველ რიგში გათვალისწინებულია მოსწავლის სწორი ინფორმირება, მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებით, მასწავლებლებისა და დამრიგებლების მიერ პოზიტიური დამოკიდებულების შექმნა, თანაკლასელებთან კომუნიკაციის დამყარებაში ხელშეწყობა და ა.შ. სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციისათვის, სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვის უნარების და პიროვნული მახასიათებლების შესახებ აუცილებელი ინფორმაციის ცოდნას, სსსმ მოსწავლისათვის საჭირო გარემოს შექმნას, როგორც მატერიალური, ასევე ადამიანური რესურსის თვალსაზრისით, მშობლების ინფორმირებას სკოლაში არსებული სერვისების შესახებ და სხვა. მობილობით გადმოსულ მოსწავლეს, პედაგოგი პირველ რიგში აცნობს უფლება მოვალეობებს, შინაგანაწესს, აცნობს სასკოლო გარემოს, აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას. ადაპტაციის წესი ითვალისწინებს შემეცნებით ექსკურსიებს არაფორმალურ გარემოში, თამაშის ტიპის აქტივობებს, ორიენტირებულია მოსწავლის ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნაზე.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. ხდება მშობლის მუდმივი ინფორმირება მოსწავლის აკადემიური მოსწრების, პრობლემების თუ წარმატებების შესახებ. სკოლას შემუშავებული აქვს „სასკოლო სასწავლო გეგმა“ და საგნობრივი კურიკულუმები, რომელთა გამოყენებითაც, სტანდარტის შესაბამისად ხდება მოსწავლეთა შედეგების შეფასება, დროული უკუკავშირის მიცემა, მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე ზრუნვა. დაწესებულება იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებას და შემუშავებული აქვს პროცესის უზრუნველყოფის მექანიზმები. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, გამოკვეთილი საჭიროების შესაბამისად, სკოლა მოსწავლეს უწევს რელევანტურ დახმარებას. სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციის დებულება, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების გზები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

დაწესებულების ადმინისტრაციული წარმოების გამართული ფუნქციონირება ეყრდნობა სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებს და მოქმედ კანონმდებლობას.

სკოლა კანონმდებლობის და დადგენილი წესების შესაბამისად აწვდის მოსწავლეს, მშობელს/ კანონიერ წარმომადგენელს ინფორმაციას გაცდენების რაოდენობის, მობილობის წესის და ვადების , ექსტერნისა და სემესტრული გამოცდების და სხვა საკითხების შესახებ. შემოსული დოკუმენტაციის (მაგ. მშობლის განცხადება) რეგისტრაციის და რეაგირების შედეგებიდან ჩანს, რომ ადმინისტრაცია კანონით გათვალისწინებულ ვადებში ახდენს რეაგირებას და იცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესებს. მობილობა ხორციელდება კანონით განსაზღვრული წესით და შესაბამის ვადებში. კანონმდებლობის დაცვით გამოიცემა კლასიდან კლასში გადაყვანისა და საფეხურის დაძლევის ბრძანებები, დროულად ხდება მოსწავლეთა პირადი საქმეების მოწესრიგება, ელექტრონული ბაზების გამართვა, ისგ გეგმების შემუშავება და ა.შ. სკოლაში სერვისების განხორციელების პროცესის ხელს უწყობს მოსწავლის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლების უზრუნველყოფას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი“, რომელშიც განსაზღვრულია მოსწავლის

/ მოსწავლეთა ჯგუფის მიერ ინიციატივების გამოხატვის ფორმები და ადმინისტრაციის / პედაგოგების მხრიდან მხარდაჭერის წესები და შესაძლებლობები. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და დაწესებულების პრაქტიკული საქმიანობიდან ჩანს, რომ სკოლა ხელს უწყობს არაფორმალური განათლების დანერგვასა და განვითარებას: ფუნქციონირებს რამდენიმე კლუბი,
ხორციელდება საგანმანათლებლო პროექტები, სასკოლო ცხოვრებაში აქტიურადაა ჩართული მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლაში არსებობს საგანმანათლებლო კვლევის ჩატარების გამოცდილება პროექტული სწავლების განვითარების საკითხზე. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი კლუბები: 1. სამოქალაქო განათლების კლუბი, 2. ისტორიის მოყვარულთა კლუბი.

ისინი გეგმავენ და ახორციელებენ პროექტებს და სხვა სასწავლო აქტივობებს, აკეთებენ საქმიანობის ანგარიშებს, თანამშრომლობენ კოლეჯებთან/უნივერსიტეტებთან.
სკოლაში განხორციელდა არაერთი საგანმანათლებლო პროექტი, სპორტული ხასიათის ღონისძიებები. პროექტების ორგანიზების და განხორციელების პროცესში აქტიურად არიან ჩართული სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

დაწესებულება, მოსწავლეებისა და დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღება ხდება, როგორც ზეპირი ისე წერილობითი ფორმით. ადმინისტრაციის, სტრუქტურული ერთეულები, პასუხისმგებელი პირები ამუშავებენ მიღებულ ინფორმაციას და გამოკვეთილი საჭიროებისამებრ, ზრუნავენ მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებაზე.მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე სკოლა აფასებს გაწეულ მომსახურებებს და მსჯელობს ცვლილებების აუცილებლობაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები
- რემედიაციის დებულება
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სადამრიგებლო პროგრამა

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით აქვს მე-9 და მე-11 კლასებში გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა. სკოლამ მოაწყო ექსკურსია კაჭრეთის კოლეჯში. მოსწავლეები გაეცნენ სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პროფესიულ მიმართულებებს. სკოლაში ხშირია წარმატებული კურსდამთავრებულის, ასევე სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლების მოწვევის ფაქტები. მოსწავლეებთან გმართეს შეხვედრები: მეხანძრე მაშველმა, სამხედრო პირმა, პოლიციელმა, სამშვიდობო მისიის მონაწილეს,ა დამიანის რესურსების დეპარტამენტის ხელმძღვანელ HR მენეჯერ რომელმაც მოსწავლეებს გააცნო როგორ ხდება არასრულწლოვანი მოზარდების დასაქმება შრომითი კოდექსის შესაბამისად. სიღნაღის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების თავშესაფრის უფროსს, იურისტსა და ფსიქოლოგს. განახორციელეს პროექტი ,,სწორად შერჩეული პროფესია ბედნიერი მომავლის საწინდარია". სკოლამ განახორციელა მოსწავლეთა ვიზიტები თემში არსებულ დაწესებულებებში როგორიცაა: ბანკი, სამედიცინო დაწესებულება, სადურგლო. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, პერიოდულად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს. მოსწავლეებს ინფორმაცია მიეწოდება კლასის დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების მეშვეობით, ხოლო მშობლებს ინფორმაცია მიეწოდება მშობელთა კრებებზე და ინდივიდუალურ შეხვედრებზე. ინფორმაცია ვრცელდება ყველა საკომუნიკაციო არხის საშუალებით, რომელიც სკოლას გააჩნია. სკოლაშს პერიოდულად სტუმრობენ წარმატებული კურსდამთავრებულები, რომლებიც თავიანთი სწავლისა და სასწავლებლის შესახებ აწვდიან ინფორმაციას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით უკუკავშირებს იღებს როგორც მოსწავლეებისგან, ისე მასწავლებლებისა და მშობლებისგან. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, დგინდება მომდევნო წლების სამოქმედო გეგმები. სწორედ, სასკოლო საზოგადოებისან მიღებული უკუკავშირი დაედო საფუძვლად სკოლის ფილოსოფიის გადახედვასა და სტრატეგიული გეგმის შემუშავებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სადამრიგებლო პროგრამები
- სკოლის fb გვერდი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ინკლუზიური განათლების პროგრამას, რომელიც სკოლის დონეზე არეგულირებს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმს. პროგრამა ეფუძნება „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმს“, რომელიც დამტკიცებულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #16/ნ ბრძანებით, 21.02.2018. სკოლის დოკუმენტში დაწვრილებით არის გაწერილი ყველა პროცედურა, რომელიც საჭიროა სსსმ მოსწავლის იდენტიფიცირებისთვის და მისი სასწავლო პროცესში სრულფასოვნად ინტეგრირებისთვის. ინკლუზიური განათლების პროგრამაში დაწვრილებით არის გაწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცესი, ვინ არიან ისგ-ს წევრები, რა ფუნქცია-მოვალეობები აკისრიათ მათ, პროგრამაში დადგენილია სსსმ მოსწავლის შეფასების მექანიზმები, შინ სწავლების საკითხები, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის საკითხები.

სკოლაში ამ ეტაპზე ირიცხება 13 სსსმ მოსწავლე და დასაქმებული 2 სპეც. მასწავლებელი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, ფსიქოლოგი, 3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი. სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შექმნილია შესაბამისი სასწავლო გარემო, რესურს-ოთახი, რომელიც აღჭურვილია სწავლებისთვის საჭირო მრავალფეროვანი რესურსით. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეების რესურს-ოთახში მეცადინეობის გრაფიკი. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა მთლიანად ეფუძნება სკოლის შიდა რეგულაციას. სკოლაში დროულად ხდება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების იდენტიფცირება, რადგან მასწავლებლები სისტემატურ დაკვირვებას აწარმოებენ მოსწავლეებზე და აქტიურად თანამშრომლობენ სპეც. მასწავლებლებთან და დირექციასთან.

სკოლის სპეციალური მასწავლებელი კოორდინირებას უწევს ისგ ჯგუფის წევრების საქმიანობაზე; ისგ-ს შეხვედრების ფორმდება ოქმებით. ისგ ჯგუფი იკრიბება სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ. ინდივიდუალური სასწავლო

გეგმებს ითანხმებს სამეურვეო საბჭო და შემდეგ მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის განმავლობაში, ხოლო უკვე იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისთვის - სწავლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სსსმ მოსწავლეების წინსვლასა და განვითარებას პირველ რიგში მათ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გეგმები და პოზიტიური საკლასო და სასკოლო გარემო უწყობს ხელს. სკოლაში შექმნილია ყველა პირობა, იმისთვის რომ სასკოლო საზოგადოება ჩაერთოს და ითანამშრომლოს იმ მიზნით, რომ სსსმ მოსწავლის ადაპტირება სასკოლო გარემოსთან იყოს უმტკივნეულო და ნაკლები წინააღმდეგობის გარეშე. სკოლაში სსსმ მოსწავლესთან მომუშავე ყველა მასწავლებელი სასწავლო პროცესს გეგმავს სპეციალურ მასწავლებელთან ერთად, ინდ, გეგმებზე დაყრდნობით. საგაკვეთილო პროცესი არის ინკლუზიური, გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურობა, საჭიროებები და შესაძლებლობები. მოსწავლები აქტიურად არიან ჩართული საგაკვეთილო პროცესში, მუშაობენ როგორც ინდივიდუალურად ასევე მცირე და დიდ ჯგუფებში. ბავშვები ახდენენ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდას, წინსვლასა და განვითარებას. სსსმ მოსწავლეები ასევე აქტიურად არიან ჩართული კლუბებში, პროექტულ სწავლებაში.

საგნის მასწავლებელი და სპეციალური მასწავლებელი მონიტორინგს უწევენ სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესს, არასაგაკვეთილო დროს ხდება საგნის მასწავლებლის, სპეციალური მასწავლებლის და თუკი საჭიროება მოითხოვს მშობლის შეხვედრები, სადაც მსჯელობენ სსსმ მოსწსვლის , როგორც წინსვლასა და მიღწევებზე , ასევე პრობლემებსა და მის ერთობლივად გადაჭრის გზებზე. ასევე პერიოდულად მიმდინარეობს შიდა მონიტორინგი, რა დროსაც ხდება ადმინისტრაციის მხრიდან სსსმ მოსწავლეთა სასწავლო პროცესზე დაკვირვება და შეფასება. სასწავლო წლის მანძილზე ხდება ,სკოლის ადმინისტრაციის მიერ რესურს ოთახის განახლება , ყველა საჭირო რესურსით და მასალით , რომლიც მორგებულია თითოეული მოსწავლის საჭიროებებზე და შესაძლებლობებზე. სკოლა და სკოლაში დასაქმებული ყველა პირი, ქმნის თანაბრად ხელმისაწვდომ გარემოს, საგანმანათლებლო პროცესს ,რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების მიღება , მათი საჭიროებებიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე. რესურსოთახში ხშირად ტარდება ერთობლივი ღონისძიებები, ფილმების ჩვენება, საინფორმაციო კამპანიები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (**მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში**):

1. სსსმ მოსწავლეთა ინდ, გეგმები
2. სასკოლო სასწავლო გეგმა

3. ისგ ოქმები
4. პედაგოგიური საბჭოს ოქმები ინდ, გეგმების დამტკიცებაზე
5. სამეურვეო საბჭოს ოქმები ინდ, გეგმების შეთანხმებაზე
6. რესურს-ოთახის ფოტოები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლას არ აქვს გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება. მაგრამ სამინისტროს პროგრამის ,,მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის" ფარგლებში მოსწავლეთა სახლიდან სკოლამდე და სკოლიდან სახლამდე გადაადგილება უზრუნველყოფილია. ასევე სკოლაში ფუნქციონირებს ცეკვის წრე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების ცეკვის წრეზე მოსწავლეთა მიღება ხდება მშობლის განცხადების საფუძველზე დადგენილი წესის შესაბამისად. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ცეკვის წრის ჩატარების პერიდულობა კვირაში ორი დღე. დირექტორის ბრძანებით დარეგულირებულია ცეკვის წრეზე გადასახადის ოდენობა. ცეკვის წრე ემსახურება მოსწავლეების მრავალმხრივ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებს, ქმნის მათთვის უსაფრთხო, მშვიდ სასკოლო გარემოს, რომელიც ორიენტირებულია პიროვნულ განვითარებაზე, აწარმოებს მონიტორინგს, ხელს უწყობს არაფორმალურ განათლებას და მშობელთა აქტიურ ჩართულობას, რაც კარგად ისახება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებასა და ჩამოყალიბებაზე. სკოლაში უსაფრთხოების დაცვის მიზნით დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები, კონტროლდება შიდა და გარე პერიმეტრი, სასწავლო პროცესისა და შესვენებების დროს ხორციელდება მასწავლებელთა მორიგეობა ყველა ლოკაციაზე. სკოლის შენობაში განთავსებულია კეთილმოწყობილი სარეკრეაციო სივრცეები, საკონფერენციო ოთახი, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები მშობელთა ჩართულობით, რაც კარგად ისახება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სატრანსპორტო მომსახურების უწყისი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;.
- ბრძანება ცეკვის წრის შექმნის თაობაზე.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის 14 მაისის N2-26 ბრაძნება, რომლითაც დამტკიცებულია "კურიკულუმის განვითარების მეთოდლოგია", რომელშიც აღწერილია კურიკულუმის განვითარების პროცესის რეგულაციები. კურიკულუმის განვითარება მოიცავს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. კურუკულუმის დანერგვის ნაწილში, სასკოლო საზოგადოების გათვალისწინების ნება იკვეთება. გაწერილია მასწავლებლის, კათედრისა და დირექციის ფუნქციები. აღნიშნავენ, რომ ამ ეტაპზე კურიკულუმზე მუშაობის პროცესში ძირითადად გააქტიურებულია კათედრებისა და დირექციის როლი. მასწავლებლეთან გასურებისას გამოიკვეთა, რომ თითოეული საფეხურის მასწავლებლები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. შეხვედრებზე მიმდინარეობს მსჯელობა მასწავლებლებს შორის როგორც კლასების, ისე მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკულუმების შედგენის დროს ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, დიფერენცირებულ მიდგომებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესები. <u>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**</u>

..

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიური ჩარჩო დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მასწავლებლები სასწავლო წლის განმავლობაში

აგროვებენ მონაცემებს, ამის საშუალებით კი შეიმუშავებენ რეკომენდაციების პაკეტს, მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. ამის დასტურად, სკოლამ წარმოადგინა კათედრის სხდომის ოქმები, სადაც ასახულია კურიკულუმის შემუშავების პროცესი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრებთან გასაუბრების შემდეგ დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები. სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში და მასწავლებლებთან გასაუბრებით ჩანს, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც ასახულია საგნობრივი ჯგუფების მიერ შევსებულ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. ვიზიტის პროცესში გამოჩნდა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობით გეგმავენ დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი, გაზიარებულია მასწავლებლებთან, რასაც უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და კურიკულუმის დამტკიცების საკანონმდებლო ჩარჩო - კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, ბეჭდვითი მასალები, სოციალური ქსელი, კრებები, სამუშაო შეხვედრები; მშობლებთან კურიკულუმის გაზიარება მშობელთა კრებების საშულებით ხდება. სკოლასთან ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმს უზიარებენ არამარტო საგნის, კათედრის ფარგლებში, არამედ სკოლის საერთო დონეზე. იმისათვის, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო საზოგადოება, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს/აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- პედ.საბჭოს ოქმი;
- მშობელთა კრების ოქმები;

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები. აქტივობების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები და ინტერესები. გამოკვეთილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. სწავლის მიზნები ძირითადად ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. **რჩევა:** სასურველია, განსაკუთრებით-ბიოლოგიასა და ქიმიაში, მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ პრაქტიკულ სამუშაობზე- საბაზო და საშუალო საფეხურზე. სკოლას აქვს ლაბორატორია, კურიკულუმებში წარმოდგენილი პრაქტიკული სამუშაოებისთვის საჭირო ინვენტარი (ჭურჭელი, რეაქტივები ხელსაწყოები). პედაგოგები ასევე იყენებენ თვალსაჩინოებას ელ. რესურსების, პლაკატების, მულაჟების სახით. სასურველია გაკვეთილებზე გამოყენებული იყოს მარტივი, უსაფრთხო ექსპერიმენტები, მეტი ყურადღება დაეთმოს კეთებით სწავლას. ამ კომპონენტში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ. საქობოს სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე და პირისპირ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები. საწყის ეტაპზე გამოგზავნილი კურიკულუმები დაზუსტებას საჭიროებდა. (მაგ. სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო, შეფასების რუბრიკები) დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვის შემდეგ დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებებისა და არსებული მოცემულობის შესაბამისად. რასაც ადასტურებს ჩასწორებული კურიკულუმები, დავალების შესრულების დოკუმენტები. სამიზნე ცნებები, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესში მთავარი ორიენტირია, თანმიმდევრულად მუშავდება თემებში. შუალედური მიზნები შესაბამისობაშია სასწავლო შინაარსებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, რაც გამოიხატება დაგეგმილ თემატურ ერთეულში, შუალედურ დავალებებსა და შეფასებებში მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა: სასურველია, ორივე უცხოურ ენაში შემუშავებული კურიკულუმები ერთი ფორმატით იყოს წამოდგენილი**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე სამივე საფეხურისათვის შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური ტიპის დავალებები (კომპლექსური დავალებების იდეები), რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთადაკავშირებას კომპლექსურ პროდუქტის

	შექმნისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის თვითშეფასებაში ვკთხულობთ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას: გათვალისწინებულია მათი ინტერესები, შესაძლებლობები, ძლიერი და სუსტი მხარეები. დაგეგმილი აქტივობები და შემოქმედებითი/შემეცნებითი დავალებები სიღრმისეული სწავლების პრინციპზეა დაფუძნებული. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, მოსწავლის აქტიური ჩართულობა, მოტივაციის ამაღლება და შემუშავებულ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მათი ინტერესები, შესაძლებლობები, წინარე ცოდნა, სკოლაში არსებული რესურსები. სკოლაში დაინერგა რემედიაციის პრაქტიკა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **ექსპერტის მხრიდან, სკოლას მიეცეს რჩევა, კურიკულუმის შემუშავებისას, მასწავლებლებმა გაითვალისწინონ საბაზო საფეხურის საგნობრივი სპეციფიკა (პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული თემები) და სასწავლო პროცესი გაამრავალფეროვნონ შესაბამისი კონტექსტმაგალითებით .** **საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები.** **სასურველია, ამოქმედდეს საკლუბო წრეები (მაგ: მკითხველთა კლუბი, დებატ. კლუბი).**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ყველა კლასის კურიკულუმის განხილვისა და ინტერვიუს შედეგიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ყველა კლასის კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად). შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია დავალებები (დავალების იდეა), რომელთა შერჩევა განხორციელებულია კათედრაზე მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. შერჩეული დავალებები იძლევა სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურად ჩართვის, ფუნქციური უნარების განვითარების საშუალებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	ფიზიკური აღზრდის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი აქტივობები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარების, ორგანიზების და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმები იძლევა საშუალებას სამიზნე ცნებების გააზრებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*დაწყებით საფეხურზე შემავალი საგნების* კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. მასში განხილული საკითხები, რესურსები, შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდლებას. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია სხვადასხვაგვარი რესურსების გამოყენება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის წევრები ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, კათედრის შეხვედრებზე ხდება სხვადასხვა პროცესების გაანალიზება და შემდეგ გათვალისწინება. შეესაბამება ეროვნულ სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი	წარმოდგენილ კურიკულუმებში განსაზღვრულია სავალდებულო საგნობრივი მოთხოვნები.

მეცნიერებები	ეროვნული სასწავლო გეგმის საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად (საფეხურის მიხედვით). სოფ. საქობოს სკოლის მიერ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, მნიშვნელოვანია სავალდებულო თემები, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი, სამიზნე ცნებების საშუალებით; წარმოდგენილ კურიკულუმებში განსაზღვრულია სავალდებულო საგნობრივი მოთხოვნები. ეროვნული სასწავლო გეგმის საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად (საფეხურის მიხედვით). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე, ორივე უცხოურ ენაში, წარმოდგენილი კურიკულუმები შეესაბამება ეროვნულ და სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, კერძოდ, მოსწავლემ/მოსწავლეებმა შეძლონ წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაცია უცხოურ ენაზე/ენებზე. მიქცეულია ყურადღება შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარის განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	მტკიცებულებებით წარმოდგენილი სამივე საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრავრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) და დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად: გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები/ საფეხურის შედეგები, სასწავლო თემები, საკითხთა კლასტერი, სასწავლო რესურსი, შემოქმედებითი პროდუქტის სახით გაწერილი შუალედური მიზნები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

	აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესწავლილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთა ინტერვიუს პროცესში მიღებული ინფორმაციიდან გამომდნარე, არსებულის პარალელურად, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, გონივრულია, რიგი საკითხების გადახედვა. **ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცეს რჩევა:** • **სასწავლო თემების, კონტექსტმაგალითებისა და საკითხების მიზნობრივი შესაბამისობის გათვალისწინებით, კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების დაგეგმვისას, მეტი ყურადღება დაეთმოს საგანთა შორის ინტეგრირების პროცესს (განსაკუთრებით საშუალო საფეხურზე).** • **შერჩეული შემაჯამებელი დავალებების ტიპები, მეტად იყოს ორიენტირებული მოსწავლის ანალიტიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. (სამივე საფეხურზე) ;** • **საშუალო საფეხურზე მე-11 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებული თითოეული კომპონენტი შეივსოს სწორად და მიზნობრივად. (მაგ: სამიზნე ცნებები) ტექნიკურად მოწესრიგდეს მე-12 კლასის კურიკულუმი (ინფორმაცია იყოს აღქმადი).**
მათემატიკა	სწავლების სამივე საფეხურზე, ყველა კლასის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სახით. მიზნის მიღწევის საშუალებად წარმოდგენილია შემოქმედებითი ან შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელზეც მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, უვითარდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება (პრობლემის გადაჭრისა და პროდუქტის შექმნის პროცესში), თანამშრომლობის უნარი, პროცესის ბოლოს ხდება შესრულებული სამუშაოს რეფლექსია. დოკუმენტების განხილვისა და ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა,

	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსაკენ. სადაც ჩანს ცოდნათა სამ კატეგორიაზე გათვლილი დავალებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები ძირითადად დაფუძნებულია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე და ითვალისწინებს სავალდებულო თემებს. სწავლების პროცესი ცოდნის აგების პრინციპზეა დაფუძნებული. კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნებით გათვალისწინებულია მოსწავლეთა მიერ ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესის განხორციელების პერიოდში თვალსაჩინოებად სკოლა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და ელექტრონულ რესურსებს, აქვთ ცხრილები, პლაკატები (რაც ჩანს გადაღებულ ფოტო-მასალაში და წარმოდგენილ დოკუმენტაციაში). აქვთ ლაბორატორია და ექსპერიმენტებისთვის საჭირო ჭურჭელი, რეაქტივები და ხელსაწყოები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დებულებაში - სასკოლო რესურსებით სარგებლობის შესახებ, ასახულია ყველა ის საგანმანთლებლო რესურსი (გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები,

	დამხმარე ლიტერატურა, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.), რომლის საშუალებით ხდება კურიკულუმებში გაწერილი შემოქმედებითი დავალების შესრულება. პირისპირ გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ განსაკუთრებით აქტიურად იყენებენ ტელესკოლას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე, ორივე უცხოურ ენაში, წარმოდგენილ კურიკულუმებში შუალედური მიზნების ძირითადი სასწავლო რესურსები და დამატებული დამხმარე რესურსები მიზნობრივია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა: სასურველია, მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების მიზნით მოხდეს დამატებითი დამხმარე რესურსების აქტიურად გამოყენებაც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებასა და გამტკიცებას.**
ესთეტიკური აღზრდა	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსის - სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, ილუსტრაციები, მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსები სკოლის სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესი დაგეგმილია ძირითადი - გრიფირებული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე, როგორც მატერიალური, ისე მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსების გამოყენებით. სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის, ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა. (საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორი, წიგნადი ფონდი, სხვა რესურსები. წვდომა

	ინტერნეტთან). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა: საშუალო საფეხურზე, მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, მოსწავლეთა ინტერესის ამაღლების მიზნით, მეტი აქცენტი გაკეთდეს ელ. რესურსების გამოყენებაზე.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე კურიკულუმებში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი რესურსი, გრიფირებული თუ დამატებითი (სახელმძღვანელო და ელექტრონული რესურსი), რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. სკოლა უზრუნველყოფილია სათანადო ინვენტარით და რესურსებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს სათანადო დოკუმენტაცია სადაც ნამდვილად ჩანს სკოლის აქტიური ჩართულობა სპორტში. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმში წარმოდგენილია ის ძირითადი რესურსები რომლების საშუალებას მისცემს მასწავლებელს სასწავლო პროცესი გახადოს მოსწავლეზე ორიენტირებული და მათი უფრო მეტი ჩართულობა უზრუნველყონ. კურიკულუმებში მოცემულია როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი რესურსები: ელექტრონული რესურსი, დამატებითი სახელმძღვანელო, მოსწავლეთა ხელით შექმნილი პროდუქტები. მათი გამოყენებით მოსწავლე უკეთ აღიქვამს შესასწავლ საკითხს. მოცემულ რესურსებზე დაყრდნობით მოსწავლეს უიოლდება

	მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე ახორციელებს დიფერენცირებულ სწავლებას. მაგალითად, სხვადასხვა აქტივობაზე მუშობისას, მასწავლებელები დავალებებს მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების მიხედვით ამზადებენ. სსსმ მოსწავლეებისათვის კურიკულუმის ადაპტაცია და ისგ გეგმის შემუშავება მოხდება ესგ- ით მითითებულ ვადებში, ყველა წესის დაცვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	გასუბრების დროს აღინიშნა, რომ მასწავლებლები იყენებენ სწავლების სხვადასხვა მეთოდს და მასალას იმის მიხედვით, თუ როგორი ტიპის მოსწავლე ჰყავთ (ვიზუალური, სმენის, კინესთეზიური და სხვ.). იყენებენ ინდივიდუალურ და ჯგუფურ დავალებებს, რომლებიც მორგებულია მოსწავლეთა სხვადასხვა დონეზე. წარმოადგეინილი აქვთ ინდ. სასწავლო გეგმები სსსმ მოსწავლეებისათვის. მშობლები და სპეციალური პედაგოგები ჩართულნი არიან სწავლის დაგეგმვის პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე, ორივე უცხოურ ენაში, სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს მოსწავლეებთან დიფერენცირებულ მიდგომებს. ასევე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლისთვის დამატებითი მხარდაჭერას რაც ასახულია წარმოდგენილა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ინდივიდუალურ გეგმებსა და თამატურად შეთავაზებულ აქტივობებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** **სასურველია, რომ კომპლექსურ დავალებებში დაგეგმონ უფრო მეტად მრავაფეროვანი**

	დიფერენცირებული აქტივობების გამოყენება. მაგ., აირჩიე პროექტი, სასწავლო მენიუ და ა.შ. რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მათთვის ეფექტური საშუალებით. **დიფერენცირებული მიდგომის დროს სასურველია, კონკრეტული აქტივობების დავალებებში, გავითვალისწინოთ ყველა ტიპის მსწავლელისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა ინტერესები.**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებები, რაც მათ საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას უწყობს ხელს. წლის დასაწყისში, სამივე საფეხურზე პედაგოგებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით კურიკულუმში შეაქვთ ცვლილებები, მოსწავლეებს სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებს. სსსმ მოსწავლეებისთვის, საჭიროებისამებრ, შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური გეგმები, რომელთა დახვეწას და სრულყოფას გეგმავენ კომპლექსური ტიპის დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლას შემუშავებული აქვს შესამაბისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სპეციალური სასგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. (ასეთი 13 მოსწავლეა დაწყებით საფეხურზე, 4 - საბაზოზე), ჰყავს 2 სპეცმასწავლებელი და სამი ასისტენტი. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს რესურს-ოთახში, რომელიც, თავის მხრივ, აღჭურვილია საჭირო საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსით. ამ ეტაპისთვის, მშობლის განცხადების საფუძველზე, მიმდინარეობს 2 მოსწავლის შეფასების პროცესი. სკოლის თვითშეფასებაში აგრეთვე ვკითხულობთ, რომ მასწავლებლები აქტიურად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს: სწავლების ტემპის/სირთულის ან მეთოდის ცვლას ცალკეული მოსწავლის საჭიროების, სწავლის სტილის ან ინტერესების მიხედვით. განხორციელებული პროექტები (მაგ: „შემოქმედებითი გარდასახვა“, „ექვთიმე“, „თოვდა და თბილისს ებურა თალხი“, „ცისფერყანწელები და სიმბოლიზმი“, “არა ბარბარიზმებს“, „იავნანამ რა ჰქნა?!“) ადასტურებს-დიფერენცირებული მიდგომების პრაქტიკას. გარდა ზემოთქმულისა, დამატებითი დოკუმენტაციის (შემაჯამებელი დავალებები, აქტივობები, ანგარიში) შესწავლის საფუძველსა და მასწავლებელთა ინტერვიუების პროცესში მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები.

	შენიშვნა: აქვე უნდა ითქვას, რომ ინტერვიუს პროცესში დაფიქსირდა მზაობა, მომავალი სასწავლო წლიდან დაინერგოს დიაგნოსტიკური წერების პრაქტიკა, რათა მიღებული შედეგების გათვალისწინებით, გამოვლინდეს მოსწავლეთა მზაობა/შესაძლებლობები და შესაბამისად, დაიგეგმოს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დიფერენცირებულ სწავლებაზე ორიენტირებული გაკვეთილები/პროექტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა, პროექტული სწავლებისას მასწავლებლებმა გაითვალისწინონ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო გონივრული ვადები და სტანდარტთან შესაბამისობა.** **მიზნობრივია სხვადასხვა შესაძლებლობისა და ინტერესის მქონე მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, შემდეგი სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას, დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებული პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ემპირიული მასალის საფუძველზე კათედრის წევრთა კოორდინირება.**
მათემატიკა	სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულიმების გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლეებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შესთავაზონ რესურსები და სასწავლო მასალა მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რათა გაზარდონ მათი ჩართულობა და ხელი შეუწყონ ცოდნის კონსტრუირებას. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება, წარმოდგენილი აქვთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმები და მოდიფიცირებული დავალებები, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, აქტიურად იღებენ სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრებას. როგორს ფორმალურ ისე არაფორმალურ სპორტულ ღონისძიებებში.იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით, საბაზო და საშუალი საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში აღწერილი ფიზიკური აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური

	უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმში კომპლექსური დავალების ფარგლებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოქნილობასა და თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სწავლის პოტენციალის გათვალისწინებას. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები იძლევა მოდიფიცირების საშუალებას. მოცემული კომპლექსური დავალებებზე დაყრდნობით მოსწავლეს შეუძლია თავისი უნარებისა და ინტერესების გათვალისწინებით შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა შეფასებას ახორციელებს საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებებით. მონაცემები მუშავდება კათედრაზე და გაეცნობა სასკოლო საზოგადოებას. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა/ რუბრიკები საგნების მიხედვით ძირითადად სამიზნე ცნებებთან მიმართებაშია. **დაწყებითი საფეხური:** კურიკულუმები შედგენილია ესგ-ს მიერ შემოთავაზებული თემების მიხედვით. კურიკულუმებს თან ახლავს შემოქმედებითი პროდუქტის შესაბამისი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები., ხორციელდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი (მე-5 კლასის მე-2 სემესტრი, მე-6 კლასი) შეფასება. **საბაზო საფეხური:** **ბიოლოგია** - კურიკულუმები შედგენილია ესგ-ს მიერ შემოთავაზებული თემების მიხედვით.

	კურიკულუმებს თან ახლავს შემოქმედებითი პროდუქტის შესაბამისი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები ერთი თემის მიხედვით. ხორციელდაბა მოსწავლეთა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. **რჩევა: მე-8 კლასი - თემაში - ნივთიერებათა მიმოცვლა და ტრანსპორტი ასევე იყოს სამიზნე ცნება- „ბიომრავალფეროვნება“. მე-7-8 კლასის კურიკულუმებში საკითხები და ქვეცნენები დასაზუსტებელია. მაგ. მოცემული ქვეცნებები- “ბრონქიტი, ასთმა, პნევმონია, ლარინგიტი, ფილტვის კიბო, დიფტერია“ - ქვეცნებებს არ მიეკუთვნება.** **ქიმია:** კურიკულუმები შედგენილია ესგ-ს მიერ შემოთავაზებული თემების მიხედვით. კურიკულუმებს თან ახლავს შემოქმედებითი პროდუქტის შესაბამისი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები ერთი თემის მიხედვით. ხორციელდება მოსწავლეთა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. **საშუალო საფეხური:** **ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია** - კურიკულუმები შედგენილი ესგ-ს მიერ შემოთავაზებული თემების მიხედვით. კურიკულუმებს თან ახლავს შემოქმედებითი პროდუქტის შესაბამისი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები ერთი თემის მიხედვით. ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. სასურველია, ზემოთ აღნიშნული რჩევები გათვალისწინებული იქნას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. სკოლას აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. კათედრის ხელმძღვანელთან და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კათედრას აქვს მომავლის ხედვა, თუ როგორ უნდა მოახდინოს დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგის ანალიზი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პირვანდელ დოკუმენტებში წარმოდგენილი იყო შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომელიც შესაბამისობაში არ იყო ეროვნულ სასწავლი გეგმასთან (რუბრიკები არ იყო მიმართული კურიკულუმში გაწერილ დავალებაზე, არ ჩანდა რომელი სამიზნე ცნება მუშავდებოდა); ზოგიერთ რუბრიკას არ აცლდა სამიზნე ცნებები. პირისპირ შეხვედრის შემდეგ რუბრიკები რედაქტირდა და გაიმართა. გადმოგზავნილი განმსაზღვრელი და განმავთარებელი შეფასების რუბრიკები ჩასწორებულია და შესაბამისობაში მოყვანილი. შეფასების სისტემა ასახავს როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების პრინციპებს, აჩვენებს კავშირებს ესგ-ის მიზნებთან და მიზნობრივ ცნებებთან, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის სწავლის პროცესის

	სრულფასოვან ანალიზს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე, ორივე უცხოურ ენაში, უცხოური ენების კათედრას შემუშავებული ააქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები, მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთ შეფასების ფორმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა: განმსაზღვრელი შეფასებისთვის, სასურველია შეიქმნას თემის ფარგლებში გასავლელი დავალებების, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და ინდიკატორებზე ორიენტირებული კონკრეტული კრიტერიუმები.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა მოსწავლეზეა ორიენტირებული. მოსწავლეებისათვის და მშობლებისათვის ცნობილია შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები. მოსწავლეებმა ყოველთვის იციან, რა კრიტერიუმით ხდება მათი შეფასება. შეფასების რუბრიკებში დეტალურადაა გაწერილი შეფასების მიზნები და კრიტერიუმები. შეფასების რუბრიკების შექმნის პროცესი ჩართული არიან თავად მოსწავლეებიც, რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭირვალობას და ობიექტურობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლაში არსებული მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი (10 ქულიანი), აგრეთვე განმავითარებელი შეფასება - შესაბამისი რუბრიკებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა: მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად:** **პარალელურად, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიზნით, კათედრის წევრებმა უზრუნველყონ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტთა გამრავალფეროვნება და ემპირიული მასალის საფუძველზე პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება.**
მათემატიკა	კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმს თან ახლავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილ რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები იძლევა საშუალებას

	შეფასდეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი, წინარე ცოდნა, შეფასდეს და გამოვლინდეს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. აკვირდებიან, სტანდარტის შესაბამისად, მოსწავლის განვითარების დინამიკას. ორიენტირებული არიან სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. შეფასების სისტემა არის ვალიდური. წარმოდგენილ ნიმუშში შეფასების კრიტერიუმები მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდის საგანში სკოლას აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს,სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, სადაც აქცენტებია გაკეთებული სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით.მასწავლებელი აქტუალურად იყენებს სიტყვიერ შეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, განმსაზღვრელი და განმავითარებელი , სადაც გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წამოდგენილი განმავითარებელი შეფასების ნიმუშები მართალია, ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასების ინდიკატორებს, თუმცა ზოგადი ხასიათისაა. შეფასების რუბრიკები უნდა მიემართებოდეს საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს . ასევე უნდა ემსახურებოდეს მოსწავლეთა მიღწევების აღიარებას და უნდა იყოს მათ განვითარებაზე ორიენტირებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** **დაწყებით კლასებში, რიგ საგნებში: (მე და საზოგადოება, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება) შეფასების რუბრიკებში უნდა ჩანდეს, თუ რომელ კონკრეტულ სამიზნე ცნების მიხედვით აფასებთ მოსწავლეს. აღწერდეს ამ ცნებასთან მიმართებით მოსწავლის მიღწევას და აძლევდეს რჩევას შემდგომი განვითარებისათვის..**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის ანგარიში
- ფიზიკური აღზრდის და სპორტის კათედრის ოქმი.
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა.
- ღონისძიებების, პრეზენტაციების. ინვენტარის ამსახველი ფოტოები.
- ურთიერთდასწრების შეფასების ფორმა.
- მოსწავლის შეფასების კრიტერიუმი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის.
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- წარმოდგწენილი კურიკულუმიებით; სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობებით; შეფასების მასალებით;
- სკოლის შინაგანაწესითა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა მასალებით.
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის სხდომის ოქმი,
- პროექტები (მაგ. “პროექტი-საქართველოს ზღვისპირა კურორტები” - V კლასი, საგანი „ჩვენი საქართველო“)
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. შემოქმედებითი დავალების ბარათები.
- დანართი 58-შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- დანართი 59-ინკლუზიური განვითარების სამოქმედო გეგმა;
- დანართი 50-მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის წესი;
- განმავითარებელი შეფასების სქემა 6 კლასი;
- შეფასების რუბრიკა - განმსაზღვრელი;
- შეფასების რუბრიკა მეხუთე - მეექვსე კლასი;
- შეფასების რუბრიკა სსსმ მოსწავლისათვის;
- 9 კლასი განმავითარებელი შეფასება;
- 9 კლასი განმსაზღვრელი შეფასება;
- 10 კლასი განმავითარებელი შეფასება;
- 12 კლასი განმსაზღვრელი შფასება;

- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მე-10 კლასი ფიზიკა;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ბირთვული ფიზიკა მე-12 კლასი;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა მე-10 კლასი;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მე-7 კლასი;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა მე-9 კლასი;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა სითბური მოვლენები მე-8 კლასი;
- მე-11 კლასი განმავითარებელი შეფასება -ქიმია;
- მე-11 კლასი განმსაზღვრელი შეფასება -ქიმია;
- მე-9 კლასი განმავითარებელი შეფასება -ქიმია;
- მე-9 კლასი განმსაზღვრელი შეფასება -ქიმია;
- ბიოლოგია-7 კლ.შეფასების რუბრიკა;
- ბიოლოგია-10კლ.შეფასების რუბრიკა;
- ფიზიკა-12 კლ. რეფერატის შეფასება;
- ფიზიკა-Xკლ განმავითარებელი შეფასება;
- ქიმია-მე-9 კლასი- შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების რუბრიკა;
- ქიმია-მე-11 კლასი-შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების რუბრიკა;
- საბუნებისმეტყველო დისციპლინებში შედგენილი ისგ-ს შაბლონი.
- დაწყებით საფეხურზე შემავალი საგნების საგნობრივი კურიკულუმები (მშობლიური ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება)
- საგანმანათლებლო რესურსები (დაწყებითი საფეხური)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მასწავლებლები კათედრებზე აქტიურად თანამშრომლობენ სასკოლო კურიკულუმის განვითარებაზე. სისტემატურად ხდება პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ურთიერთდახმარება. იგეგმება ინტეგრირებული გკვეთილები, ურთიერთდასწრება. სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლებმა იმუშავეს დაგეგმილი შემოქმედებითი დავალებების შესრულებაზე. ამის დასტურად კათედრამ წარმოადგინა პროექტები, შემოქმედებითი დავალებები, შემაჯამებლის ნიმუშები. შეხვედრის დროს ჩანდა, რომ სკოლაში პოზიტიური გარმო და სასკოლო კულტურაა, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მოსწავლის შემოქმედებით პოცესებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

	რჩევა: სასურველია შემაჯამებელი დავალებების შექმნის დროს გათვალისწინებული იქნას ტესტის კოგნიტურობა დონეების მიხედით. შემაჯამებელი ტესტირების დროს ცოდნაზე ორიეტირეულ ტესტებთან ერთად მეტი ადგილი დაუთმეთ ისეთ ტესტებს, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან გამოყენებასა და მსჯელობაზე.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე, ორივე უცხოურ ენაში, სასწავლო პროცესი დაგეგმილია კათედრის მიერ შემუშავებული სასკოლო კურიკულუმის მიხედვით, რომელშიც ჩაშლილია თემატური ერთეულები, შუალედური მიზნები, რესურსები, აქტივობები და შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ იგი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. სწორი დაგეგმვიდან გამომდინარე სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის შედეგიანად წარმართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის თვითშეფასებაში ვეცნობით, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რასაც სკოლა ადასტურებს საგნობრივი კურიკულუმებით, შეფასების რუბრიკებით, სასწავლო პროცესის შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების დოკუმენტაციით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს კონკრეტულ გარემოებებზე, რომელთა საფუძველზეც კურიკულუმით გათვალისწინებულ სასწავლო პროცესში ცვლილებები შეიტანეს. მაგ: 1. მეცხრე კლასში დაგეგმილი პროექტი „ექვთიმე“ ნაწილობრივ განხორციელდა: რიგი ფაქტორებიდან (ეკონომიკური, სხვა ექსკურსია) გამომდინარე, ვერ შედგა დაგეგმილი ექსკურსია და, შესაბამისად, ვერც ის პროდუქტები (ადგილზე მოპოვებული ფოტომასალით დამუშავებული პოსტერები) შეიქმნა, რომელთა განხორციელების წინაპირობაც გაუქმდა. 2. მეცხრე კლასში სასწავლო თემის („ისტორიის გზაგასაყარზე“) ფარგლებში მასწავლებელმა მოსწავლეთა ინტერესის გათვალისწინებით, ისტორიის მასწავლებელთან ერთად, საქართველოს ანექსიის საკითხთან დაკავშირებული ინტეგრირებული პროექტი ‘‘თოვდა და თბილისს ებურა თალხი“ განახორციელა.

	ზემოაღნიშნული პრაქტიკის გათვალისწინებით, ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცეს **რჩევა,** საგნობრივ კათედრებზე სამუშაო პროცესის პარალელურად, სასურველია კათედრათაშორისი კოორდინირებული თანამშრომლობის გააქტიურება გამოცდილების გაზიარებისა თუ სასწავლო პროექტების/ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვის მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კათედრის წევრებთან გასაუბრება იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. სავალდებულო თემების ფარგლებში განიხილება საკითხები, რომელთა დასამუშავებლად ცხრილში გაწერილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები და რესურსები. კომპლექსურ დავალებებს თან ახლავს მატრიცები სადაც ჩანს, რომ აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები გაწერილი თემები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. მასწავლებელთან გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, ეს დოკუმენტებითაც დასტურდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია სადაც გაწერილი კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგი და შეფასები ფაზები. მოსწავლე ჩართულია შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესში, სასწავლო პროექტებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულიაა 2024-2025 სასწავლო წლისათვის. თუმცა, როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, სასწავლო პროცესში ვერ განახორციელეს ყველა დაგეგმილი კომპლექსური დავალება. ზემოხსენებული გამოცდილებიდან

	გამომდინარე, მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს ცვლილებები შეიტანოს საგნობრივ კურიკულუმებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს ისწავლონ ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოში. საკლასო რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო საათი, რომელიც აძლევს მოსწავლეებს საშუალებას ისაუბრონ პირად საკითხებსა და საკუთარ პრობლემებზე. მათ შეუძლიათ მიმართონ ნებისმიერ დროს დირექტორს ან სხვა მასწავლებელს, რომლებიც ყოველთვის გულისყურით უსმენენ და ეხმარებიან. აღმზრდელობითი მუშაობა მიმდინარებს სხვადასხვა ფორმით: დისკუსია, სასწავლო ექსკურია, როლური თამაში, გამოფენა, კონკურსი, სკოლა საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს რთავს რემედიაციის პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა კათედრის მიერ, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის,შეფასებას სამი კომპონენტით ახორციელებენ, საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი დავალებები. სკოლას აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. კათედრის ხელმძღვანელთან და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კათედრას აქვს მომავლის ხედვა, თუ როგორ უნდა მოახდინოს დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგის ანალიზი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ პირველად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შეფასების რუბრიკები უფრო ზოგადი ხასიათისა იყო, მაგრამ დამატებით მოთხოვნით მოწოდებული ერთი დავალების შეფასებიდან ჩანს რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლებს აქვთ უნარი შექმნან შეფასების ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო ობიექტური და სამართლიანი სისტემა. სკოლას ასევე აქვს

	შემუშავებული შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი და ბრძანებით დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელ პირთა ჯგუფი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლია მიერ წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი იძლევა საშუალებას ვიფიქროთ რომ მოცემული შეფასების სისტემა არის, სანდო, ობიექტური და მრავალფეროვანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე სკოლაში დანერგილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამას ადასტურებს ის, რომ ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა და მშობლებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. შეფასების რუბრიკების და კრიტერიუმების შექმნის პროცესში ჩართული არიან თავად მოსწავლეები, რას სისტემას ეფეტურს და სანდოს ხდის.კათედრაზე ეფექტურად იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ კომენტარებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	არსებული დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა საერთო ჯამში ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანებს. თუმცა, რიგ შემთხვევებში, გამოიკვეთა შეფასების პრინციპების არარელევანტურობა სასწავლო პროცესთან მიმართებაში. **დაწყებითი** - მეექვსე კლასის, **საბაზო** - მეშვიდე კლასის შემაჯამებელი დავალებების უმრავლესობა დეკლარატიული ცოდნის შემოწმებით შემოიფარგლება. ექსპერტის მხრიდან, სკოლას მიეცეს რჩევა: • შემაჯამებელ დავალებათა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავებისას, კრიტერიუმები მიზნობრივად იყოს გაწერილი (კონკრეტული შემაჯამებელი დავალების) სტანდარტის შედეგებთან შესაბამისობაში. • შერჩეული შემაჯამებელი დავალებები მეტად იყოს ორიენტირებული მოსწავლის

	ანალიტიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. შერჩეული ინსტრუმენტით შესაძლებელი იყოს სასწავლო თემის//თემების ფარგლებში სტანდარტის შედეგების დადასტურება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუენტები. როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები,შეფასების რუბრიკა გამჭირვალეა და მოსწავლეებს კარგათ აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა. სადაც აქცენტები გაკეთებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით.მასწავლებელი აქტუალურად იყენებს სიტყვიერ შეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობას. ყველა მოსწავლეს ეძლევა თანაბარი შესაძლებლობა წარმატებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების სისტემის ვალიდურობა, ობიექტურობა, სანდოობა და სამართლიანობა გაპირობებულია იმ გარემოებით,რომ შეფასების რუბრიკები შეესაბამება დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებს. სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკებს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები თვალსაჩინო ადგილასაა გაკრული, რაც განაპირობებს შეფასების სისტემის გამჭირვალობასა და სანდოობას. სამართლიანობისა და ობიექტურობის

	უზრუნველყოფის მიზნით, დავალების წარდგენის შემდეგ,მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად მსჯელობს გასაუმჯობესებელ შედეგებზე, მოსწავლეები აკეთებენ თვითშეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას დამტკიცებული აქვს - შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, ვადებსა და პირობებს. სასწავლო წლის ბოლოს სკოლა ახორციელებს სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას სკოლა ინახავს სამი წლის ვადით. მატერიალური მაგ. მოსწავლეთა ნამუშევრები) დოკუმენტაციის შესანახად სკოლას აქვს დაცული საცავი.

ინტერვიუს დროსაც, პედაგოგებმა ისაუბრეს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების შენახვის გამოცდილებაზე. კერძოდ, აღინიშნა, რომ მონაცემები/მტკიცებულებები სათანადოდ აღირიცხება და ინახება არანაკლებ 3 წლის ვადით (როგორებიცაა შემაჯამებელი დავალებები, შემოქმედებითი ტიპის დავალებები და სხვა). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები*
- შემაჯამებლის ნიმუშები.
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;

- დანართი 15-პედ. საბჭოს ოქმი;
- დანართი 53-ბრძანება მოსწავლის რემედიაციის დებულების დამტკიცების შესახებ;
- დანართი 22-მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმა;
- განმავითარებელი შეფასების სქემა 6 კლასი;
- შეფასების რუბრიკა მეხუთე - მეექვსე კლასი;
- შეფასების რუბრიკა სსსმ მოსწავლისათვის;
- 9 კლასი განმავითარებელი შეფასება;
- 9 კლასი განმსაზღვრელი შეფასება;
- 10 კლასი განმავითარებელი შეფასება;
- 12 კლასი განმსაზღვრელი შფასება;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მე-10 კლასი ფიზიკა;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ბირთვული ფიზიკა მე-12 კლასი;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა მე-10 კლასი;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მე-7 კლასი;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა მე-9 კლასი;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა სითბური მოვლენები მე-8 კლასი;
- მე-11 კლასი განმავითარებელი შეფასება -ქიმია;
- მე-11 კლასი განმსაზღვრელი შეფასება -ქიმია;
- მე-9 კლასი განმავითარებელი შეფასება -ქიმია;
- მე-9 კლასი განმსაზღვრელი შეფასება -ქიმია;
- ბიოლოგია-7 კლ.შეფასების რუბრიკა;
- ბიოლოგია-10კლ.შეფასების რუბრიკა;
- ფიზიკა-12 კლ. რეფერატის შეფასება;
- ფიზიკა-Xკლ განმავითარებელი შეფასება;
- ქიმია-მე-9 კლასი- შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების რუბრიკა;
- ქიმია-მე-11 კლასი-შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების რუბრიკა.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები არის სახელმძღვანელო და ელ. რესურსები, პლაკატები, მულაჟები. ლაბორატორიაში არის კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობებისთვის საჭირო ჭურჭელი, რეაქტივები და ხელსაწყოები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სოფელ საქობოს სკოლის სახოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის პედაგოგები აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში როგორც კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითად სახელმძღვანელოს, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს (მაგ: ტელესკოლა, სხვადასხვა ვიდეომასალა, პრეზენტაციები, სამუშაო ფურცლები და სხვ.) რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობას და მოსწავლეთა ინტერესის ამაღლებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე, მასწავლებლები იყენებენ ძირითად სასწავლო რესურსებს. აღნიშნულის დასტურია, შედგენილი კურიკულუმების შესაბამისად განხორციელებული დავალებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა; სასურველი, სამივე საფეხურზე ორივე უცხოურ ენაში, რესურსების მრავალფეროვნებას მიექცეს ყურადღება.**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე კათედრაზე ეფექტურად იყენებენ კურიკულუმით განსაზღვრულ მრავალფეროვან და მოსწავლეზე ორიენტირებულ ძირითადი და დამხმარე სასწავლო შინაარსის - სასწავლო რესურსს (ელ. რესურსები, ბმულები, ილუსტრაციები, მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსები) . გარდა სამინისტროს მიერ მოწოდებული ციფრული რესურსებისა, მასაწავლებლები თავადაც ქმნიან სხვადასხვა სახის რესურსებს და აქტიურად იყენებენ მიზნის მისაღწევად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში.

	სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები: გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამატებითი ლიტერატურა, მასწავლებელთა მიერ შექმნილი მატერიალური და ელ.რესურსები. მასწავლებლებს შეუძლიათ სასწავლო პროცესში გამოიყენონ კომპიუტერი და პროექტორი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო, ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო) და დამხმარე რესურსები - ვიდეო გაკვეთილები, რაც სასწავლო შედეგის მიღწევის საშუალებას იძლევა, ზრდის მოსწავლის მოტივაციას. გასაუბრებისას გამოიკვეთა წარმოდგენილი მატერიალური რესურსების გამოყენება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ფიზიკური აღზრდის სწავლა-სწავლების პროცესის დროს აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას და განვითარებას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. კურიკულუმები და მათში გაწერილი როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობის ელემენტები, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები ფეხბურთის, ხელბურთის და კალათბურთის ელემენტებით, ძალისმიერი ვარჯიშებით, ლაშქრობა) და თეორიული (მაგ., დაბალანსებული კვება, ჰიგიენა) შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე, კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმებში ძირითადად წარმოდგენილია ელ. მასალები, წარმოდგენილია ძირითადი და ასევე დამატებითი მასალები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია,

	ინტერნეტი. სასწავლო პროცესში გამოიყენებული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. (სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება, ონლაინ რესურსები, ტელესკოლის გაკვეთილები). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს დამხმარე რესურსების ვალიდაციის ოქმები-დაწყებითი საფეხურის, საბაზო საფეხურის, საშუალო საფეხურის. სკოლას შემუშავებული აქვს რესურსების ვალიდაციის წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო სკოლაში მოქმედებს კანონით დადგენილი ვადით; სკოლის პედაგოგიური საბჭო, ამტკიცებს გრიფმინიჭებულ და საგნობრივი კათედრების მიერ შერჩეულ სახელმძღვანელოთა და დამხმარე სახელმძღვანელოების იმ ნუსხას, რომლებსაც მასწავლებლები რეგულარულად გამოიყენებენ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. (დებულება-სასწავლო რესურსებით სარგებლობის შესახებ). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე, ორივე უცხოურ ენაში, სკოლის მიერ დადგენილი წესების მიხედვით, კურიკულუმის შემუშავების ხორციელდება კათედრის შეხვედრებზე, სადაც მიმდინარეობს ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების დაგეგმვა, გადახედვა და გაზიარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა: სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს დამხმარე რესურსის ვალიდაციის ფორმა, რომელიც განსაზღვრავს დამხმარე სასწავლო რესურსის საგნობრივ და ეთიკურ მიზანშეწონილობასა და ასაკისათვის შესაბამისობას.**

ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე სკოლის მიერ უზრუნველყოფილია არსებული და შექმნილი დამხმარე რესურსების ვალიდაცია. ისინი სრულ შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებთან და კურიკულუმით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებთან. რესურსი შერჩეულია მიზნობრივად თემატური ერთეულების მიხედვით. პედაგოგების მაღალი კომპეტენცია და სტრატეგიების ფლობის დონე, უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას.
სახელმწიფო ენა	სკოლის თვითშეფასებაში წერია, კათედრის წევრები ახდენენ დამატებითი რესურსის ვალიდაციას. კათედრის სხდომაზე განისაზღვრება დამატებითი რესურსის სია და მოსწავლეთა ასაკობრივ და სწავლების მიზნობრივ მათი შესაბამისობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი კათედრის #1-ელი ოქმის თანახმად, დამატებითი რესურსის ვალიდაციაზე ჩანაწერი არ იკითხება. მასწავლებელთა ინტერვიუს პროცეში კი გამოიკვეთა, რომ ისინი ერთმანეთს უზიარებენ მოსაზრებებს ამ საკითხთან მიმართებაში სოციალურ ქსელში საერთო მიმოწერის საშუალებით. **ექსპერტის მხრიდან სკოლას მიეცეს რჩევა, სასწავლო წლის დაწყებამდე, კათედრის წევრებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში დღის წესრიგში - გათვალისწინებულ /განიხილულ იქნეს იმ დამატებით რესურსთა სწავლების ეფექტიანობა-შესაბამისობის შეფასება, (ე.ს.გ -ს გათვალისწინებით) რომელთა გაწერაც იგეგმება საგნობრივ კურიკულუმში. (აღნიშნული მტკიცებულების სახით, აისახოს კათედრის ოქმში.)** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრაზე. სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მათთვის მისაღებ სასწავლო დამატებით რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. კომპლექსური ტიპის დავალებები

	ითვალისწინებენ, რომ მათზე მუშაობისას პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ რესურსებს დამოუკიდებლად არჩევენ, თუმცა რა თქმა უნდა, ითვალისწინებენ შესასწავლი საკითხის თემატიკას, მოსწავლეთა ასაკს და ა. შ. **რჩევა: კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრული უნდა იყოს საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად და დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმით..** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას აქვს ლაბორატორია და კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობებისთვის საჭირო ჭურჭელი, ხელსაწყოები და რეაქტივები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის ინფრასტრუქტურა, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. სკოლა აქვს მატერიალური

	რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე, სკოლას აქვს შესაბამისი რესურსი, რათა მოხდეს უცხოური ენის ოთხივე მიმართულების (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი) მიხედვით კომპეტენციების განვითარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფენ სკოლაში და კათედრაზე არსებული შესაბამისი მატერიალური რესურსები: გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე ციფრული რესურსები, ილუსტრაციები და სხვა. სკოლაში არსებული ტექნიკური აღჭურვილობა თავის მხრივ საშუალებას აძლევს პედაგოგებს აქტიურად და ეფექტურად მიმართონ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ამ ეტაპისთვის ირიცხება 250 მოსწავლე. სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის, ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა. (საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორი, წიგნადი ფონდი, რესურს-ოთახი, სხვა რესურსები. წვდომა ინტერნეტთან). კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობენ დირექტორის მიერ შემუშავებული გრაფიკის გათვალისწინებით. საჭიროებისამებრ კი, სკოლის ადმინისტრაციის რესურსით(პრინტერი). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **შენიშვნა: ინტერვიუს პროცესში არ იყო წვდომა სკოლის ინტერნეტთან.**

მათემატიკა	სკოლას აქვს სასწავლო მატარიალური რესურსი, საკლასო ოთახები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა უსაფრთხოება და მორგებულია დიფერენცირებულ საჭიროებებზე. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას ღებულობნ სასკოლო ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, მოძრავ თამაშებში. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ელექტრონული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ ვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში სკოლა იყენებს შესაბამის მატერიალურ რესურსს მოსწავლეთა განსაზღვრული რაოდენობის მიხედვით, დაწყებითი კლასების ყველა მოსწავლე სარგებლობს სკოლის მხრიდან მასზე გადაცემული გრიფირებული სახელმძღვანელოებით. სკოლის მიერ გადმოგზავნილ კურიკულუმების თანახმად დამატებითი ელექტრონული რესურსები მოსწავლეებს მიეწოდებათ ჰიპერლინკების სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას კურიკულუმის განხორციელებისთვის ჰყავს საჭირო ადამიანური რესურსი. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ამონაწერიდან დასტურდება, რომ დაწესებულებაში დასაქმებული მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება მათ პოზიციას. სკოლას ჰყავს 6 მასწავლებელი დაწყებითი საფეხურის, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ კომბინირებული გამოცდა და აქვთ უფროსი მასწავლებლის

სტატუსი. სკოლას ასევე ჰყავს 1-6 კლასის მათემატიკის, ბუნებისმეტყველების და ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული მასწავლებლები. ასევე სერტიფიცირებული მასწავლებლები ჰყავს სპორტში, ხელოვნებასა და მუსიკაში. პედაგოგებთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები. სკოლას ასევე ჰყავს 2 სპეცმასწავლებელი და სამი ასისტენტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მასწავლებლების მიერ შექმნილი რესურსები*
- *სამივე საფეხურის კურიკულუმები*
- *სამივე საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები*
- *სამივე საფეხურის განმავითერებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები*
- *კათედრის სამოქმედო გეგმა*
- კათედრის სხდომის ოქმი;
- გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა;
- დანართი 64-დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- დანართი 67 -საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- დანართი 69-საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- ბიოლოგია ვალიდაციის ოქმი(საბაზო);
- ბიოლოგია ვალიდაციის ოქმი(საშუალო საფეხური);
- ფიზიკა-პრაქტიკული სამუშაოებისათვის საჭირო ინვენტარის ფოტოები;
- ფიზიკა-საშუალო საფეხურისრესურ.ვალიდაც. ოქმი;
- ფიზიკა-პრაქტიკული სამუსაოებისათვის საჭირო ინვენტარის ფოტოები;
- ფიზიკა-რესურსების ვალიდაციის ოქმი;
- ლაბორატორიის ინვენტარი და რეაქტივები;
- საორიენტაციო ელექტრონული რესურსების ვალიდაციის ოქმი -საშუალო საფეხური;
- ლაბორატორიის ინვენტარი და რეაქტივები;
- საორიენტაციო ელექტრონული რესურსების ვალიდაციის ოქმი-ქიმია-საბაზო საფეხური;
- შეფასების ვალიდაციის ოქმი საბუნებისმეტყველო კათედრაზე;

- რესურსის ვალიდაციის ოქმი-ბუნებისმეტყველება 5-6.
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

მონიტორინგის მეთოდოლოგია მოიცავ ს კურიკულუმის დანერგვის პროცესებზე დაკვირვებას, გამოწვევების/პრობლემების აღნუსხვას-გაზიარებას კათედრის წევრებსა თუ სხვა საგნის მასწავლებლებს შორის და ერთობლივად ინტერვენციების მოფიქრებას, ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. სკოლის

პედაგოგების მხრიდან გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებასა და დანერგვაში ჩართულია დაწყებითი კლასების კათედრის მასწავლებლები, დირექტორის მოადგილე . აღნიშნეს ისიც, რომ ითანამშრომლებენ მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფთან. მიაწვდიან მათ ინფორმაციას კურიკულუმის დანერგვის პროცესში წამოჭრილი პრობლემების შესახებ. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლიგიის თანახმად, სასწავლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში, გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების, დირექციის აქტიური ჩართულობითა და ითვალისწინებს სასკოლო პრიორიტეტებსა და მოსწავლეთა შესაძლებლობა-ინტერესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სკოლაში დანერგილია ურთიერთდასწრების პრაქტიკა, მასწავლებლები კათედრებზე წინასწარ შედგენილი განრიგით ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, კოლეგები აკვირდებიან სასწავლო პროცესებს სხვადასხვა მიმართულებით: პოზიტიური სასწავლო გარემო, განმავითარებელი კომენტარებისა და უკუკავშირების ეფექტიანად გამოყენება, დიფერენცირებული სწავლება, საგანთა შორის ინტეგრირება. მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში, რომელიც საგანთა ინტეგრაციას მოითხოვს (მაგ. „რა? სად? როდის?. ილიას უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო პიკნიკში მონაწილეობა). დაწყებითი კლასების მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ სკოლაში მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება დიაგნოსტიკური წერები. მათი ანალიზის შედეგები ხელს შეუწყობს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში იკითხება, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას. პასუხობს მთავარ კითხვას. რამდენად მიემართება სასკოლო ცხოვრება მიზნისკენ? ეს საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდენტიფიცირებისა და წარმატების გაზომვისა. მასწავლებლები კათედრაზე, წლის დასაწყისში ახორციელებენ კურიკულუმის რევიზიას და შეაქვთ გარკვეული ცვლილებები. მონიტორინგს კათედრის ხელმძღვანელები და დირექტორის მოადგილე ახორციელებენ. სკოლის

მხრიდან გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა დაეხმარება მათ დაადგინონ, რამდენად მოაქვს მათ მიერ შედგენილ კურიკულუმებსა და დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დიაგნოსტირების ინსტრუმენტის შაბლონი
- სასწავლო პროცესისი შეფასების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

მოსწავლეთა შეფასებისას ხდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინება : კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობა, პროექტებზე მუშაობა.შემაჯამებელი, საშინაო, საკლასო დავალებების შესრულება.

სკოლამ წარმოადგინა და მასწავლებლებმაც გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შემუშავებულია შეფასების სხვადასხვა ფორმები: განმავითარებელი შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები, ასევე განხორციელებული აქტივობებისა და შესრულებული შემაჯამებელი დავალებები თავისი შეფასების რუბრიკებით, რომელთა საშუალებითაც ადგენენ თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას, მის ძლიერ და სუსტ მხარეს. ამის შემდეგ, სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებისა და მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით მოსწავლეებს აძლევენ უკუკავშირს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

მოსწავლეთა შეფასებისას ხდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინება : კომპლექსური ბუნების დავალებაზე მუშაობა, პროექტებზე მუშაობა.შემაჯამებელი, საშინაო, საკლასო დავალებების შესრულება.

პედაგოგებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ აფასებენ არა მარტო მოსწავლის ფაქტობრივ ცოდნას, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას და ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში, მასთან დაკავშირებულ სააზროვნო უნარებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში ხდება საგნის მასწავლებლებისაგან ინფორმაციის მოგროვება, მოსწავლის მიერ შესრულებული სხვადასხვა დავალების გაცნობა-ანალიზი. მასწავლებლები საჭიროებების კვლევისთვის იყენებენ ურთიერთდასწრებას, შემაჯამებელ დავალებებს, კომპლექსური ბუნების დავალებებს, პროექტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

კათედრაზე მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. მათ იციან თუ როგორ გარდაქმნან ინდიკატორები შეფასების კრიტერიუმებად: საბაზო და საშუალო საფეხურზე გამოიკვეთა კურიკულუმში შეფასების კრიტერიუმების კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტებთან მისადაგება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 64-დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- დანართი 67 -საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- დანართი 69-საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- განმავითარებელი შეფასების სქემა 6 კლასი;
- შეფასების რუბრიკა - განმსაზღვრელი;
- შეფასების რუბრიკა მეხუთე - მეექვსე კლასი;
- შეფასების რუბრიკა სსსმ მოსწავლისათვის;
- 9 კლასი განმავითარებელი შეფასება;

- 9 კლასი განმსაზღვრელი შეფასება;
- 10 კლასი განმავითარებელი შეფასება;
- 12 კლასი განმსაზღვრელი შფასება;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მე-10 კლასი ფიზიკა;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ბირთვული ფიზიკა მე-12 კლასი;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა მე-10 კლასი;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მე-7 კლასი;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა მე-9 კლასი;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა სითბური მოვლენები მე-8 კლასი;
- მე-11 კლასი განმავითარებელი შეფასება -ქიმია;
- მე-11 კლასი განმსაზღვრელი შეფასება -ქიმია;
- მე-9 კლასი განმავითარებელი შეფასება -ქიმია;
- მე-9 კლასი განმსაზღვრელი შეფასება -ქიმია;
- ბიოლოგია-7 კლ.შეფასების რუბრიკა;
- ბიოლოგია-10კლ.შეფასების რუბრიკა;
- ფიზიკა-12 კლ. რეფერატის შეფასება;
- ფიზიკა-Xკლ განმავითარებელი შეფასება;
- ქიმია-მე-9 კლასი- შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების რუბრიკა;
- ქიმია-მე-11 კლასი-შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების რუბრიკა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სასწავლო პროცესის მონიტორინგი იძლევა საშუალებას, შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სკოლამ ცვლილებები შეიტანოს სასკოლო სასწავლო გეგმაში. სასწავლო წლის მანძილზე მოსწავლეთა მხრიდან შესრულებული შემაჯამებელი, შემოქმედებითი დავალებების ანალიზი ცხადყოფს, თუ რა გარემოებები უნდა გაითვალისწინონ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შედგენისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, კურიკულუმის ახალი ვერსია დაეფუძნება წინარე გამოცდილებას. ახალ რევიზირებულ დოკუმენტში აისახება ანალიზის საფუძველზე დადგენილი მიგნებები. დაწყებით საფეხურზე შემავალი საგნების მასწავლებლები აცნობიერებენ, რამდენად მნიშვნელოვანია ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში აისახოს როგორც მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები, ასევე, წინარე გამოცდილება. ასევე, ყველა იმ ხარვეზისა და გამოწვევის გათვალისწინება, რომლის წინაშეც იდგნენ გასულ სასწავლო წლებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

თარიღი 08.08.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავით ლიპარტელიანი - ზოგადი განათლების უზრუნველყოფის ექსპერტი

ნატა ბიჭიკაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

მაია მაძღარაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

მაია აბდელიანი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

თეონა ჯაფარიძე - ექსთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

მაია სიხარულიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ნინო წიკლაური - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ირინე შარაბიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ალექსანდრე ლაცაბიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

შორენა კაკაბაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი